ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ეკა თანდილაშვილი

არაკარიესული დაავადებების თავისებურებები ბავშვთა მოსახლეობაში და პროგნოზული ფაქტორების ანალიზი

დისერტაცია

წარმოდგენილი მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვლადიმერ მარგველაშვილი

თბილისი 2018 წ

სარჩევი

შესავალი

კვლევითი თემის აქტუალობა

ჯანსაღი პირის ღრუ ადამიანის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის დონის განმსაზღვრელი ინდიკატორია (Sheiham A. et al.,2000). პირის ღრუს დაავადებათა ფართო ნუსხაში კბილის კარიესისა და პაროდონტის ქსოვილის დაავადებებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა კბილთა არაკარიესული წარმოშობის დაავადებები. ტერმინი "კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესული დაზიანებები" აერთიანებს მრავალ დაავადებას კლინიკური გამოვლენის მიხედვით (Paepe A.D. Nicoles A.C 1998). მიუხედავად იმისა, რომ არაკარიესული დაავადებები, ფლუოროზის, ეროზიის, ჰიპოპლაზიის, პათოლოგიური ცვეთისა და სოლისებრი დეფექტის სახით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იქნა აღწერილი, პირის ღრუს სხვა დაავადებებთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი.

კბილის მაგარ ქსოვილთა არაკარიესული პათოლოგიები არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა, წარმოშობითა და კლინიკური გამოვლინებით, საკმაოდ მრავალფეროვანია. დაავადება შეიძლება გამომჟღავნდეს იზოლირებულად ან ყბებისა და სახის, ან მთლიანად ბავშვის ორგანიზმის ორგანოებისა და სისტემების ანომალიებთან და განვითარების მანკებთან ერთად.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიური დაავადებების მიმართ გაზრდილი ინტერესი განაპირობა პაციენტთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვანმა ზრდამ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა და სკოლის ასაკის მოსწავლეთა შორის, რასაც გარკვეულწილად უკავშირებენ ადამიანის ორგანიზმზე გარემო ფაქტორთა არასასურველ ზემოქმედებას. ბავშვის ანატომიურ - ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ლაბილური იმუნური სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა ასაკში სტომატოლოგიურ დაავადებათა მიმდინარეობაზე. ასევე მზარდ ორგანიზმში ცალკეული ორგანოებისა და სისტემების ფუნქციის ნებისმიერი დარღვევები მნიშვნელოვნად აისახება პირის ღრუს ორგანოთა მდგომარეობაზე. სხვადასხვა ორგანულ დაავადებათა პირველადი სიმპტომების გამოვლენა ხშირად სწორედ პირის ღრუში ხდება და წარმოშობილი

პათოლოგიური პროცესი ზოგად დაავადებათა ადრეული გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა (შიშნიაშვილი თ. 2004).

სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაცია და მისი კავშირი არაკარიესული დაავადების, კერძოდ ფლუოროზის განვითარებასთან მეცნიერულად ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან დადასტურდა (Ruan JP, et al.,2005 cited in DandiK.K).

1909 წელს, ამერიკელმა სტომატოლოგმა, ფრედერიკ მაკკეიმ შენიშნა, რომ პაციენტებს, რომლებიც ცხოვრობდნენ კოლორადოში, კბილებზე აღენიშნებოდათ ყავისფერი ლაქები. შემდგომში ფრედერიკ მაკკეიმ დააზუსტა, რომ იგივე სახეობის ლაქები ამერიკის სხვა ქალაქებში მცხოვრებ პირებსაც აღენიშნებოდათ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ყავისფერ ლაქებს გააჩნდათ კარიესრეზისტენტული დატვირთვა, ხოლო გამომწვევ მიზეზად დასახელდა სასმელ წყალში არსებული ნივთიერება (Frederick S.McKay 1919). 1930 წელს, ქიმიკოსების მიერ წყლის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, იდენტიფიცირებული იქნა ფტორი, როგორც ყავისფერი ლაქების გამომწვევი ფაქტორი, ხოლო დაავადებას ეწოდა ფლუოროზი (National Institute of Dental and Craniofacial Research).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დინის ნაშრომები დაედო საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კარიესისა და ფლუოროზის განვითარება კორელაციაშია წყალში ფტორის კონცენტრაციის მინიმალურ ცვლილებასთანაც კი (Dean HT.1938).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული გაიდლაინით, კარიესული დაავადებების პრევენციისათვის ფტორის დამცველობით დოზად განისაზღვრა სასმელ წყალში მისი 0.5 გმ/ლ - დან 1.0 მგ/ლ - მდე კონცენტრაცია, ხოლო ოპტიმალურ დოზად მიჩნეულ იქნა ფტორის 1.5 მგ/ლ კონცენტრაცია. მეორე მხრივ, სასმელ წყალში ფტორის მაღალი კონცენტრაცია ფლუოროზის განვითარების ერთ-ერთი მთავარი რისკ ფაქტორია (Marthaler TM.1994). ამის დასტურია ისიც, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ენდემური ფლუოროზის კერა გამოვლინდა იქ, სადაც სასმელი წყალი შეიცავს ფტორის გადაჭარბებულ რაოდენობას (Arif M, et al.,2013; Akpata E, et al., 2006) .

მას შემდეგ რაც ფტორირების ღონისძიება იქცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ მთავარ პირობად, აქტიურად დაიწყო კვლევები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდა ფტორი კბილის ქსოვილზე (Wondwossen F,et al., 2004).

საქართველოში მსგავსი სახის კვლევა ბოლო ათწლეულის მანძილზე არ ჩატარებულა, შესაბამისად არ არის დადგენილი კორელაციური კავშირი სასმელ წყალში არსებულ ფტორის კონცენტრაციასა და ფლუოროზს შორის.

ბავშვთა ასაკში კბილთა არაკარიესული წარმოშობის დაავადებებიდან საკმაოდ ხშირად გვხვდება მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანება. მისი განვითარების ერთ-ერთ ეტიოლოგიურ ფაქტორად მიიჩნევა კბილების განვითარების პერიოდში მეტაბოლური პროცესების დარღვევა, რაც შემდგომში ვლინდება კბილის ქსოვილის აგებულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი რღვევით. კბილის ჩანასახში მინანქრის ჰიპოპლაზია წარმოიქმნება ემბრიოგენეზის პროცესის დარღვევისას. კლინიკურად იგი ვლინდება ლაქების, ტალღოვანი და დაღარული მინანქრის სახით. გამოყოფენ მაგარი ქსოვილების ჰიპოპლაზიის 3 სახეობას: სისტემურს, ადგილობრივსა და კეროვანს. სისტემური ჰიპოპლაზია ვითარდება მაშინ, როდესაც კბილების ჩამოყალიბების პერიოდში დედას ან ნაყოფს აღენიშნებოდათ სხვადასხვა დაავადება. მუდმივი კბილების, განსაკუთრებით პირველი მოლარისა და ფრონტალური კბილების ჰიპოპლაზიის განვითარება დაკავშირებულია ბავშვის სიცოცხლის პირველ წელიწადს გადატანილ სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკულ დაავადებასთან. ადგილობრივი ჰიპოპლაზია განპირობებულია ფოლიკულის ტრავმით ან სარძევე კბილების პერიოდონტიტის დროს ანთებითი პროცესით. მსუბუქი დაზიანების დროს ადგილი აქვს მხოლოდ ერთი კონკრეტული კბილის ფერის ცვლილებას. მძიმე დარღვევების დროს კი შეცვლილია როგორც კბილის ფორმა, ასევე მისი ზომა და ქსოვილოვანი სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ზრდის ზონის დაზიანებაც. კეროვანი ჰიპოპლაზია წარმოადგენს კბილთა ჯგუფის შედარებით იშვიათ დაზიანებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ყბა-სახის მიდამოს ტრავმით, დასხივებითა და ყბების ქრონიკული ოსტეომიელიტით (Seow WK. 1991, Suckling GW.1989).

მინანქრის ჰიპოპლაზიის გავრცელება ბავშვებში ცვლადი თანკბილვის დროს ვარირებს 2 დან 99%-მდე (L.C, Bader et al.,1994). მისი გავრცელება დამოკიდებულია ბავშვის სოციო-ეკონომიკურ, ეთნიკურ და კვებით სტასტუსზე, ასევე, დაბადებისას ბავშვის წონაზე, და მეთოდებზე, რომლის მიხედვით ხდება ამ დაავადების კლასიფიცირება (Seow WK. 1997., Yonezu T, et al.,1997). თანამედროვე კვლევებმა გვიჩვენა, რომ მუდმივი თანკბილვის პირობებში, ბავშვთა მოსახლეობის 3-15%-ს გამოუვლინდა ჰიპოპლაზიური დაზიანებები (Montero MJ, et al.,2003). ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში აღნიშნული დაავადება უფრო ხშირად გვხვდება (Li Y, et al.,1996).

კვლევების მიხედვით, კბილის მაგარი ქსოვილის სისტემური და ადგილობრივი ჰიპოპლაზიური დაზიანება მიიჩნევა კარიესის განვითარების ერთ-ერთ რისკ ფაქტორად (L.Hong et al.,2009). ჰიპოპლაზიით დაზიანებული მინანქრის მიდამოში მომატებულია მჟავა გარემო, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობას მასზე კარიოგენული ბაქტერიის ადჰეზიისთვის (Targino AG,et al.,2011). ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ბავშვები, რომელთაც აღენიშნებათ მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანება, არიან მეტად მგრძნობიარენი კარიესის მიმართ, ვიდრე ბავშვები, რომელთაც არ აქვთ მინანქრის არაკარიესული დაზიანება (Lopes RM, et al.,2013).

არაკარიესული დაავადებებიდან არც თუ ისე იშვიათად გვხვდება კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანება ეროზიის სახით. ეს არის მინანქრის შეუქცევადი ხასიათის დაზიანება, გამოწვეული მჟავა გარემოს ქიმიური ზემოქმედებით პროცესში ბაქტერიების ჩარევის გარეშე (Shaw L,Smith A.1998). მისი განვითარება ბავშვთა ასაკში ძირითადად განპირობებულია მჟავე ხილის წვენებისა და ციტრუსების ჭარბი რაოდენობისა და ასკორბინის მჟავას ან ძმარმჟავას შემცველი პროდუქტების მიღებით (Millward A. et al.,1994). ხშირად აღენიშნებათ ნევროზული ანორექსიის და ბულემიის მქონე პაციენტებს. Roberts-ის კვლევის მონაცემებით, ზემოაღნიშნული დაავადების მქონე პაციენტთა გამოკვლევისას, მონაწილეთა 35%-ში გამოვლინდა კბილთა სასისკენა ზედაპირის ეროზია, კუჭის შიგთავსის მჟავე გარემოს მუდმივი ზემოქმედების შედეგად (Roberts M.W et al., 1987).

ტერმინი “ სოლისებრი დეფექტი’’ პირველად გაჟღერდა 1991 წელს John O.-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „სოლისებრი დეფექტი - კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანების ახალი კლასიფიკაცია’’ (Grippo, John O. 1991). ეს სტატია იყო პირველი, რომელმაც გამოავლინა სოლისებრი დეფექტი, როგორც კბილის მაგარი ქსოვილის დაზიანების ახალი ფორმა, რომელიც განსხვავდებოდა ეროზიისა და პათოლოგიური ცვეთისგან. სოლისებრი დეფექტით დაზიანება უფრო ხშირად გვხვდება საშუალო და ხანდაზმულ ასაკში, ბავშვებში საკმაოდ იშვიათია.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა სიხშირე უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას ცხადყოფს რუსეთში ამ დაავადებათა უფრო ხშირი გამოვლენა წინა წლებთან შედარებით. ავტორთა აზრით, აღნიშნული დაკავშირებულია ეკოლოგიური პირობების გაუარესებასა და ჩერნობილის აფეთქებასთან (Чернобыльская П.М.1993. Федоров Ю.А.1996).

რაც შეეხება, არაკარიესული დაავადებების გავრცელებას საქართველოს ბავშვთა ასაკის მოსახლეობაში, კვლევები აქტიურად მიმდინარებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში. განხორციელდა კარიესისა და ჰიპოპლაზიის განვითარების მედიკო - ბიოლოგიური და სოციალურ - ჰიგიენური რისკის ფაქტორების შესწავლა (ჯაფიაშვილი ე. 2005). ასევე, მოხდა ბავშვთა მოსახლეობის ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებების სიტუაციური ანალიზი და შეფასდა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შედეგები (შიშნიაშვილი თ.1998). მიუხედავად ამისა, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება არაკარისულ დაავადებათა გავრცელების შესწავლა ქართულ პოპულაციაში, შესაძლო ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისა და მათი დახმარებით პრევენციული ღონისძიებების დანერგვის მიზნით.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1. სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის გავლენის განსაზღვრა ფლუოროზის განვითარებასთან კავშირში.

2. არაკარიესული დავადებით, კერძოდ, ჰიპოპლაზიით დაზიანებულ კბილებზე კარიესის განვითარების შესაძლო ალბათობის დადგენა.

3. სხვადასხვა პრენატალური და პოსტნატალური ფაქტორების, როგორც ჰიპოპლაზიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტიოლოგიური ფაქტორის შესწავლა.

4. ეროზიის, პათოლოგიური ცვეთისა და სხვა არაკარიესული დაავადებების გავრცელების სიხშირის დადგენა, მათი თავისებურებების შესწავლა სხვადასხვა რისკ–ფაქტორების გათვალისწინებით და ამ ფაქტორების საფუძველზე პრევენციული ღონისძიებების თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბება.

მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- არაკარიესული დაავადებების გავრცელების შესწავლა თბილისის მოსახლეობის, კერძოდ, 12-15 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.
- კორელაციური კავშირის დადგენა ანკეტა-კითხვარში არსებულ ეტიოლოგიურ ფაქტორებსა და არაკარიესული წარმოშობის დაავადებს შორის.
- მედიკო-ბიოლოგიური და სოციალურ-ჰიგიენური ფაქტორები და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა ჰიპოპლაზიის განვითარებაში.
- სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის გავლენის შეფასება ფლუოროზის განვითარებასთან კავშირში.
- შესაძლო კორელაციური კავშირის არსებობის დადგენა კბილის კარიესსა და ჰიპოპლაზიას შორის.
- სხვადასხვა პრენატალური და პოსტნატალური ფაქტორების გავლენისა და მათი როლის შესწავლა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე.
- კვებითი ფაქტორების როლის განსაზღვრა ეროზიის განვითარაში.
- ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების გავლენა სოლისებრი დეფექტის განვითარებაზე.

- გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინებით სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის თანამედროვე პრინციპებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება, რასაც მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალური, ისე სამედიცინო თვალსაზრისით.

კვლევის სამეცნიერო სიახლე

1. ბოლო ათწლეულების მანძილზე პირველად იქნა გამოკვლეული თბილისის 12-15 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში არაკარიესული დაავადების გავრცელება.
2. პირველად განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასმელ წყალში არსებულ ფტორის კონცენტრაციასა და ფლუოროზს შორის;
3. შესწავლილ იქნა მედიკო-ბიოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და კვებითი ფაქტორების გავლენა არაკარიესული დაავადებების გავრცელებაზე;
4. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავებულ იქნა ეფექტური პრევენციული ღონისძიებები.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა

1.1 სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელება

ჯანსაღი პირის ღრუ ადამიანის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის დონის განმსაზღვრელი ინდიკატორია (Sheiham A. et al.,2000).

პირის ღრუს დაავადებათა ფართო ნუსხაში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა კბილის კარიესი და პაროდონტის ქსოვილის დაავადებები, რომლებიც შემდგომში განსაზღვრავს კბილთა მწკრივის მთლიანობის დარღვევას და საბოლოოდ კბილების დაკარგვასაც კი. აღსანიშნავია ასევე, ისეთი დაავადებების ფართო გავრცელება, როგორიცაა - კბილის არაკარიესული დაავადებები - ფლუოროზი, ჰიპოპლაზია, ეროზია და სოლისებრი დეფექტი (Petersen P.E et al., 2005).

პირის ღრუს დაავადებები ფართოდაა გავრცელებული განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში (Mcmahon A.D et al., 2011). ზემოაღნიშნული დაავადებების გავრცელების სიხშირე მჭიდრო კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან (Selwitz R.H. et al.,2007). ასევე, უნდა აღინიშნოს გარემოს ფაქტორთა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეკოპათოგენურ ფაქტორთა გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე, დღესაც რჩება აქტუალურ პრობლემად, ვინაიდან ადამიანის ორგანიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან - წარმოადგენს რა ბიოსფეროს ნაწილს (სულაძე ნ. 2015).

1.2 კარიესული დაავადების ეტიოლოგია და ეპიდემიოლოგია

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა რიცხვში, ბავშვთა ასაკში კვლავაც აქტიურად მოისაზრება კბილის კარიესი (Vieira AR. et al., 2008). განვითარებული ქვეყნების სკოლის მოსწავლეთა 60-90% დაავადებულია სწორედ ამ დაავადებით (Petersen P. et al.,2005). კარიესული დაავადების სამკურნალოდ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკვე გამოვლენილი დაავადების მკურნალობა (The Scottish Governmentt,2007).

კარიესის ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით, მრავალი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით კარიესი მიეკუთვნება მულტიეტიოლოგიურ დაავადებათა რიცხვს, ხოლო გამომწვევ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს (Peres KG. et al., 2000), მშობელთა სამედიცინო განათლების დაბალ დონეს (Qin M. et al., 2008), გენეტიკურ წინასწარგანწყობას (Piddennavar R. et al., 2013), ბაქტერიულ ინფიცირებას (S. Mutans), პირის ღრუს ჰიგიენურ მდგომარეობის დაბალ მაჩვენებელს (Mascarenhas AK., 1998), პირის ღრუს სითხის რაოდენობასა და შემადგენლობას (Lenander-Lumikari M. et al., 2000) და კარიოგენური საკვების ხშირ მოხმარებას (Milgrom P. et al., 2000). დაავადების გამომწვევ ფაქტორებს ასევე მიაკუთვნებენ მდედრობით სქესს (Ferraro M. et al., 2010) და დროებითი თანკბილვის პერიოდში დაფიქსირებულ კარიესულ შემთხვევებს (Helm S. et al., 1990).

მსოფლიო მასშტაბით უამრავი კვლევა ტარდება კარიესის გავრცელების სიხშირისა და მისი გამომწვევი შესაძლო ეტიოლოგიური ფაქტორების დასადგენად. (Rafael da Silveira Moreira,2012). აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 5-9 წლის ასაკის ბავშვთა 50%-ს აღენიშნებათ ერთი კარიესული ან დაბჟენილი კბილი, ხოლო 17 წლამდე ასაკში აღნიშნული რაოდენობა მატულობს 78%-მდე (Bagramian R. et al., 2009). 1998 წლის მონაცემების მიხედვით, იტალიაში, სკოლის მოსწავლეთა შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებულია კარიესის გავრცელების მაჩვენებელი. 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგი შეადგენს 52,7%-ს, ხოლო 68,8%-ს 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში (Angelillo IF, et al., 1998). 2001 წლის მონაცემებით, ჩინეთში კარიესი ფიქსირდება სკოლის მოწავლეთა 84%-ში 6-დან 12 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში (Wong M.C.M., et al., 2001). ბელგიაში, 1980 წლიდან 2006 წლამდე კარიესის გავრცელების მაჩვენებელი შესამჩნევად კლებულობს. 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში_3,9-დან (1983 წელი) 0,92-მდე (2001 წელი), 7 წლის ასაკობრივ ჯგუფში_1,4-დან (1983 წელი) 2,24-მდე(1996 წელი), 5 წლის ასაკობრივ ჯგუფში DMFT ინდექსი მცირდება 2,66-დან (1981 წელი) 1,38-მდე (1994 წელი), (De Vos E ., et al., 2006).

კლინიკურ პრაქტიკაში, გარდა კარიესული დაავადებისა, საკმაოდ ხშირად გვხვდება კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესული წარმოშობის დაზიანებებიც, რომელთაგან გავრცელების სიხშირით გამოირჩევა ჰიპოპლაზია, ფლუოროზი, ეროზია და სოლისებური დეფექტი. ზემოაღნიშნული პათოლოგიები პირის ღრუში გამოვლენილნი არიან სხვადასხვა ფორმით. მნიშვნელოვანია ამ დაავადებათა ეტიოლოგიური ფაქტორების ცოდნა, არსებული დაავადებების პროგრესირების შემცირების, შემდგომი დაზიანებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის დაგეგმვის მიზნით (Levitch L.C. et al., 1994).

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, კვლევები კარიესული დაავადების გავრცელების შესახებ აქტიურ ხასიათს ატარებდა.

1989 წელს გ. ყიფიანის მიერ, შესწავლილ იქნა ბავშვთა ასაკში კარიესის გავრცელება. შემუშავებულ იქნა მკურნალობის მეთოდები კარიესის აქტივობის სხვადასხვა ხარისხის დროს (ყიფიანი გ., 1989).

1993 წელს სეფსისით დაავადებულ და სეფსისგადატანილ ბავშვებში შესწავლილ იქნა სტომატოლოგიური სტატუსი (გოგილაშვილი ქ.თ, 1993).

2003 წელს, შესწავლილ იქნა სტომატოლოგიურ დაავადებათა სიხშირე ენდემური ჩიყვით დაავადებულ ბავშვებში, ასევე კარიესის ფორმირების სოციალური-ჰიგიენური და მედიკო-ბიოლოგიური რისკის ფაქტორები (კალანდაძე მ., 2003)

2003 წელს გ. ყიფიანის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ქრონიკული ტონზილოპათიის მქონე ბავშვებში კარიესული დაავადების გავრცელების შესახებ (ყიფიანი გ., 2003)

1.3კბილების არაკარიესული წარმოშობის დაავადებები

კბილების არაკარიესული წარმოშობის დაავადებები ჰოპოპლაზიის, ფლუოროზის, ეროზიის, სოლისებრი დეფექტის და კბილთა პათოლოგიური ცვეთის

სახით აღწერილია ჯერ კიდევ XIX საუკუნის ნაშრომებში, მაგრამ პირის ღრუს სხვა პათოლოგიებისაგან განსხვავებით ნაკლებადაა შესწავლილი (Suckling GW,et al.,1976).

კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანებები, განვითარების პერიოდის მიხედვით იყოფა 2 ჯგუფად:

დაზიანებები, რომლებიც ვითარდება კბილების ჩამოყალიბების პერიოდში. ესენია:

- ჰიპოპლაზია
- ჰიპერპლაზია
- ფლუოროზი
- მემკვიდრეობითი დაავადებები (კაპდეპონის დისპლაზია, არასრულყოფილი ამელოგენეზი და დენტინოგენეზი, მარმარილოს დაავადება)

დაზიანებები, რომლებიც ვლინდება კბილების ამოჭრის შემდგომ პერიოდში. ესენია:

- პათოლოგიური ცვეთა
- სოლისებრი დეფექტი
- კბილის მაგარი ქსოვილების ეროზია
- ტრავმა
- ჰიპერესთეზია (ბოროვსკი ე.ვ 2001).

არაკარიესული წარმოშობის დაზიანებებიდან საკმაოდ გავრცელებულ დაავადებებს მიეკუთვნება ჰიპოპლაზია, ფლუოროზი, ეროზია და სოლისებრი დეფექტი, რომელთა გავრცელების შესწავლა ძირითადად მუდმივი კბილების ამოჭრის შემდგომ პერიოდში ხდება (Aldred M.J, Crawford P.J.1997), რასაც ადასტურებს შემდეგი კვლევები.

1.4 კბილის მინანქრის ჰიპოპლაზიურ დაზიანებათა თავისებურებანი ბავშვთა ასაკში

ბავშვთა ასაკში კბილთა არაკარიესული წარმოშობის დაავადებებიდან საკმაოდ ხშირად გვხვდება კბილების ჰიპოპლაზიური დაზიანება. მისი წარმოშობის ერთ-ერთ ეტიოლოგიურ ფაქტორად მიიჩნევენ კბილების განვითარების პერიოდში

მეტაბოლური პროცესების დარღვევას, რაც შემდგომში ვლინდება კბილის ქსოვილის აგებულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი რღვევით (Патрикеев В.К. 1967). ჰიპოპლაზიის დროს ხდება ენამელობლასტების - მინანქრის წარმომქმნელი უჯრედების ნორმალური ფუნქციონირების მოშლა (Алексеев В.А., Брозгол А.М. 1970). ჰიპოპლაზიის განვითარების ერთ-ერთ ეტიოლოგიურ ფაქტორად, ასევე, მოისაზრება მინერალიზაციის პროცესების დარღვევა (Вайс С.И. 1965).

G.Nikiforuk-ის კვლევებმა მიგვიყვანა იმ ჰიპოთეზამდე, რომ მინანქრის ფორმირების პროცესში, შრატში კალციუმის დაბალი კონცენტრაცია არის ჰიპოპლაზიის განვითარების ერთ-ერთი სპეციფიკური ფაქტორი. ეს ჰიპოთეზა შეესაბამება ხაზოვანი ფორმის ჰიპოპლაზიის განვითარების ეტიოლოგიურ ფაქტორს, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებში, რომლეთაც უკვე გააჩნიათ წინასწარ განწყობა კარიესული დაავადების განვითარებისადმი (G.Nikiforuk., et al.1981).

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ჰიპოპლაზიის დროს დარღვეულია არა მხოლოდ მინერალიზაციის პროცესი ენამელობლასტების არასაკმარისი ან შენელებული ფუნქციის გამო, არამედ უპირველეს ყოვლისა კბილის მინანქრის ცილოვანი მატრიქსის შენება (В.Патрикеев.1968. Nozaka K.1990).

მინანქრის განუვითარებლობა ჰიპოპლაზიის დროს შეუქცევად ხასიათს ატარებს. ენამელობლასტების დაღუპვის შედეგად აღარ წარმოიქმნება მინანქარი, ჰიპოპლაზიური წარმოშობის დეფექტები კი უკუგანვითარებადი არ არიან და შესაბამისად, არაკარიესული წარმოშობის დაზიანება რჩება მინანქარზე მთელი ცხოვრების მანძილზე (Корчагина В.В., Дьякова С.В.1997).

დროებითი კბილების მინანქრის ფორმირების პროცესი ანტენატალურ პერიოდში იწყება (Каснбина А.Ф., et al., 1979). ორსულობის დროს დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზეგავლენა მინანქრის ფორმირებაზე მრავალი ნაშრომით მტკიცდება (Gary S.M., et al.1980); (Малков В.Т.1972). ემბრიოგენეზის პროცესის დარღვევის შედეგად ზიანდება კბილის ჩანასახოვანი ქსოვილი და წარმოიქმნება ჰიპოპლაზიური დაზიანება. ის ვითარდება ორსულობის პერიოდში დედის მიერ გადატანილი რაიმე მწვავე ან ქრონიკული დაავადების შედეგად, ასევე

ამავე პერიოდში დედის ორგანიზმზე იმ მავნე ფაქტორთა ზემოქმედებით, რომლებიც იწვევენ ორსულობის ფიზიოლოგიური მიმდინარეობის დარღვევას. ჰიპოპლაზია შესაძლოა განვითარდეს ბავშვობაში გადატანილი რაქიტის (Seino, Y.et al.,1981), მძიმე ინფექციური დაავადებების, დისპეპსიის და ენდოკრინული დარღვევების შედეგად (Hillman, L.S., Haddad, J.G.1975). ჰიპოპლაზია გვხვდება, როგორც სარძევე ასევე მუდმივ კბილებზე (Casanova-Rosado AJ,et al.,2011); სარძევე კბილებზე იშვიათად, რაც განპირობებულია კბილების ფორმირების ვადებით. სარძევე კბილების ჰიპოპლაზია დაკავშირებულია მომავალი დედის ორგანიზმში არსებულ დარღვევებთან, ხოლო მუდმივი კბილების, რომლებიც იწყებენ ფორმირებას ბავშვის ცხოვრების 5–6 თვეზე, დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევასთან ბავშვის ორგანიზმში (Nozaka K.,et al.1990).

არაკარიესული წარმოშობის დაზიანებების სისტემატიზაციისთვის ლიტერატურაში აღწერილია და შემუშავებულია კლასიფიკაციების მრავალი ფორმა. თუმცა, ჰიპოპლაზიის მრავალი ფორმის დიფერენცირება საბოლოოდ ვერ მოხერხდა. კლასიფიკაციათა უმრავლესობა არ გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ჰიპოპლაზიის გამოვლენის კონკრეტული კლინიკური ფორმა (Агапов Н.И. 1929).

ასეთი არასრულფასოვნების გამო, მრავალი მკვლევარი გვაწვდის ჰიპოპლაზიის კლასიფიკაციის თავისეულ ვერსიას. ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ფორმა ჰიპოპლაზიის კლასიფიკაციისა შემოგვთავაზა Н.Белова-მ მის სადისერტაციო ნაშრომში (Белова Н.А. 1981), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ჰიპოპლაზიის, როგორც კლინიკო-ანატომიური ფორმების განსაზღვრა, ასევე პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების დაგეგმვაც.

კბილთა ჯგუფის მაგარ ქსოვილთა რაოდენობრივი დაზიანების მიხედვით გამოყოფენ სისტემურ, კეროვან და ადგილობრივ ჰიპოპლაზიას (Bernard G. et al.,1941). ადგილობრივი ჰიპოპლაზია სარძევე კბილებზე არ შეინიშნება, იგი ძირითადად გვხვდება მუდმივი კბილებზე. ამ დროს ადგილი აქვს ერთი და იშვიათად ორი კბილის ქსოვილის განვითარების დარღვევას. გამომწვევ მიზეზთა შორის უპირველესად მოისაზრება მექანიკური ტრავმა, რომელიც აზიანებს განვითარებად ფოლიკულს, ან ანთებითი პროცესი, რომლის დროსაც ხდება

ფოლიკულში ინფექციის შეღწევა. მსუბუქი დაზიანებები ვლინდება ერთ-ერთი კბილის ფერის ცვლილებით, მძიმე დარღვევების დროს კი შეცვლილია როგორც კბილის ფერი, ასევე ფორმა, ზომა და მისი ქსოვილების სტრუქტურა (Watts A, and Addy M.2011).

კეროვანი ჰიპოპლაზიის ეტიოლოგია დადგენილი არ არის. ამ პათოლოგიის დროს კბილების გვინგვინების ზომები შემცირებულია მინანქრის განუვითარებლობის ხარჯზე, აღინიშნება ხორკლიანი ზედაპირი და მოყვითალო ელფერი. კეროვანი ჰიპოპლაზიით შეიძლება დაზიანდეს ზედა ყბის ერთი ნახევრის ყველა კბილი, ასევე გვხვდება საჭრელების, ეშვების, ან მუდმივი მოლარების მიდამოში. ჯგუფური დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ყბა-სახის მიდამოს ტრავმამ, დასხივებამ, ყბების ქრონიკულმა ოსტეომიელიტმა (Виноградова Т.Ф.1981).

სისტემური ჰიპოპლაზიით ხდება ყველა ან მხოლოდ იმ ჯგუფის კბილთა მინანქრის განუვითარებლობა ან რღვევა, რომლებიც დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ყალიბდებიან. იგი წარმოიქმნება დედის მიერ ორსულობის პერიოდში გადატანილი სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული ინფექციური დაავადებების შედეგად, ამავე პერიოდში ნივთიერებათა ცვლის ან კვების რეჟიმის დაღვევისას, ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრში მიღებული სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების, ასევე ნაყოფის ორგანიზმში ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესების დარღვევისას (Гришков М.И. 1985).

ჰიპოპლაზიის გამომწვევ ეტიოლოგიურ ფაქტორთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღენაკლულ ბავშვთა ანუ ნაადრევად დაბადებულ ახალშობილთა წონას. Seow-ს კვლევის თანახმად, მინანქრის არაკარიესული წარმოშობის დეფექტების გავრცელება მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს 62.3% აღწევდა იმ ახალშობილებში, რომელთა წონა დაბადებისას არ აღემატებოდა 1500 გრამს. მაშინ, როდესაც 1500-2500 გრ წონის მქონე ბავშვთა ჯგუფში იგივე მაჩვენებელი არ აღემატებოდა 27.3%-ს. ნორმალური წონის მქონე ბავშვთა ჯგუფში (2500გრ და მეტი) მინანქრის დეფექტები გამოვლინდა მხოლოდ 12.8%-ში (Kim.W Seow,et al.,1987).

Infante თვლის, რომ სარძევე კბილებში მინანქრის ჰიპოპლაზია არ ვითარდება და ამის დასტურად მოაქვს დედის ორგანიზმის დამცველობითი რეაქცია, რომელიც

იცავს ნაყოფს ნივთიერებათა ცვლის ნებისმიერი სახის დარღვევისაგან (Infante PF., Gillespie GM.1977). თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს Magnusson და თვლის, რომ მინანქრის ჰიპოპლაზია უფრო მრავალი ფორმით ვლინდება სარძევე კბილებში, მაგრამ აღინიშნება ე.წ წაშლილი ფორმები და რთულია ექიმის მიერ მისი იდენტიფიცირება (Magnusson T.1984).

კბილის მინანქრის ჰიპოპლაზიის სისტემური ფორმა ბავშვთა 2-14%-ში გვხვდება. თუმცა, სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით განსხვავებულია სისტემური ჰიპოპლაზიის სიხშირე სარძევე და მუდმივ კბილებში (Виноградова Т.Ф.1987).

Дякова-ს მონაცემებით, ქრონიკული სისტემური დაავადებების მქონე ბავშვებში ჰიპოპლაზიის სიხშირე 50%-ს აღწევს, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვებში მისი რაოდენობა არ აღემატება 1.9%-ს (Дякова С.В.1965).

სხვა ავტორთა კვლევების თანახმად, სისტემური ჰიპოპლაზიის სიხშირე სარძევე თანკბილვისას 13%-ია, ხოლო ცვლად თანკბილვაში იგი არ ღემატება 7.4%-ს (Смоленцева Н.В. 1981).

მუდმივი კბილების ჰიპოპლაზიური დაზიანებების 60% ვითარდება ბავშვის სიცოცხლის პირველი 9 თვის განმავლობაში, როდესაც ადაპტაციური და კომპენსაციური მექანიზმები ჯერ კიდევ სუსტადაა გამოხატული და ნებისმიერი სახის დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის პროცესების მოშლა (Новик И.О.1971). ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, იმ ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ ჰიპოპლაზიური დაზიანება აქვთ კარიესის განვითარების უფრო მაღალი ალბათობა, ვიდრე ბავშვებს, რომელთაც არ აღენიშნებათ არაკარიესული წარმოშობის დაავადება (Lai P.Y et al., 1997. L.Hong, et al.,2009). ზემოაღნიშნული დამტკიცდა ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის შედეგებითაც. ყველაზე ხშირად ჰიპოპლაზიური დაზიანდება აღინიშნა მუდმივ მოლარებზე (85%), დაზიანებული კბილების 76%-ს მიეკუთვნებოდა საჭრელი კბილები, ხოლო 64% გადანაწილდა ეშვებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰიპოპლაზიით დაზიანებულ კბილთა 83%-ს ქონდა მინანქრის ერთი რომელიმე ზედაპირი მაინც დაზიანებული კარიესული წარმოშობის დეფექტით (Pascoe L. and W. Kim Seow.,1994). Bernard-ს კვლევის მონაცემებით ჩიკაგოს სკოლის მოსწავლეთა 5%-ში აღინიშნება არაკარიესული

დაავადება ჰიპოპლაზიის სახით. მაშინ როცა ეს მონაცემები ევროპის ქვეყნებში ვარირებს 5%-დან 18%-მდე (Bernard G.Sarnat., 1941).

1.5 ფლუოროზის გავრცელება ბავშვთა ასაკის მოსახლეობაში

1909 წელს, ამერიკელმა სტომატოლოგმა, ფრედერიკ მაკკეიმ შენიშნა, რომ პაციენტებს, რომლებიც ცხოვრობდნენ კოლორადოში, კბილებზე აღენიშნებოდათ ყავისფერი ლაქები. შემდგომში ფრედერიკ მაკკეიმ დააზუსტა, რომ იგივე სახეობის ლაქები ამერიკის სხვა ქალაქებში მცხოვრებ პირებსაც აღენიშნებოდათ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ყავისფერ ლაქებს გააჩნდათ კარიესრეზისტენტული დატვირთვა, ხოლო გამომწვევ მიზეზად დასახელდა სასმელ წყალში არსებული ნივთიერება. 1930 წელს, ქიმიკოსების მიერ წყლის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, იდენტიფიცირებული იქნა ფტორი, როგორც ყავისფერი ლაქების გამომწვევი ფაქტორი, ხოლო დაავადებას ეწოდა ფლუოროზი (National Institute of Dental and Craniofacial Research).

ფლუოროზი ენდემური დაავადებაა და აღენიშნებათ იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სასმელ წყალსა და ნიადაგში ფტორის მაღალი შემცველობის გეოგრაფიულ ზონაში (Keith E. Heller et al.,1997). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული გაიდლაინით, კარიესული დაავადებების პრევენციისათვის ფტორის დამცველობით დოზად განისაზღვრა სასმელ წყალში მისი 0.5 გმ/ლ- დან 1.0 მგ/ლ -მდე კონცენტრაცია, ხოლო ოპტიმალურ დოზად მიჩნეულ იქნა ფტორის 1.5 მგ/ლ კონცენტრაცია. მეორე მხრივ, სასმელ წყალში ფტორის მაღალი კონცენტრაცია ფლუოროზის განვითარების ერთ-ერთი მთავარი რისკის ფაქტორია (Shanthi M,et al.,2014) (Solanki J,et al.,2015). ამის დასტურია ისიც, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ენდემური ფლუოროზის კერა გამოვლინდა იქ, სადაც სასმელი წყალი შეიცავდა ფტორის დაჭარბებულ რაოდენობას (Arif M, et al.,2013) (Akpata E, et al.,2006) (Kotecha PV,et al.,2012). გარდა ბუნებრივი ეპიდემიოლოგიური კერებისა, ფლუოროზის ფართო გავრცელება აღინიშნა მოსახელობის იმ ნაწილშიც, რომლებიც ცხოვრობენ იმ საწარმოებთან ახლოს,

საიდანაც მათში ნაწარმოები დიდი რაოდენობით ფტორიდების გარემოში მოხვედრაა შესაძლებელი (Максимовский Ю.М 1984).

ბავშვის ორგანიზმში ფტორი უფრო დიდი რაოდენობით რჩება, ვიდრე მოზრდილების. იგი ილექება ძვლებში, კბილებში, პარენქიმულ ორგანოებში. ორგანიზმიდან იგი შარდის და ფეკალური მასების საშუალებით გამოიყოფა. ფტორის ნორმალური კონცენტრაცია ბავშვის ორგანიზმში ცვლილებებს არ იწვევს, მაგრამ მაღალი კონცენტრაციით ორგანზმში მოხვედრისას აღინიშნება სკლეროზული მოვლენები ჩონჩხსა და სისხლძარღვებში (Yu Y,et al.,1996).

ფლუოროზის განვითარების მექანიზმი დღემდე არაა ბოლომდე შესწავლილი. ითვლება, რომ ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით მოხვედრილი ფტორი ახდენს გავლენას ენამელობლასტებზე და იწვევს მინანქრის არასრულფასოვან ფორმირებას. ასევე, ამცირებს ფოსფატაზის აქტიურობას და აფერხებს მინერალიზაციას. სწორედ ამიტომ, კბილის მინანქრის ფლუოროზით დაზიანებული უბნების ლოკალიზაცია ზუსტად შეესაბამება მისი მინერალიზაციის დარღვევის ვადებს (შიშნიაშვილი თ. 2004).

ფლუოროზით უმეტესად ზიანდება მუდმივი კბილები, იშვიათად დროებითი. მისი გამოვლენა ძირითადად ხდება ზედა ყბის საჭრელებზე და პრემოლარებზე, იშვიათად ქვედა ყბის საჭრელებზე და მოლარებზე. ფლუოროზით დაზიანებული კბილების მინანქარი კარგავს გამჭვირვალობას, ხდება შემღვრეული და მასზე ჩნდება მოყვითალო ფერის ლაქები (Tabari E,et al.,2000).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დინის ნაშრომები დაედო საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ კარიესისა და ფლუოროზის განვითარება კორელაციაშია სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მინიმალურ ცვლილებასთანაც კი (Dean HT.1938). რასაც მოწმობს 2005-2015 წლებში მექსიკაში ჩატარებული კვლევის შედეგებიც. ფლუოროზის გავრცელება სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მიხედვით შეადგენდა 15.5%-დან 100%-მდე. იქ, სადაც ფტორის კონცენტრაცია ნაკლები იყო 1.5 მგ/ლ-ზე, ფლუოროზის გავრცელებამ მიაღწია 15.5%-დან 81%-მდე ნიშნულს. მოსახლეობა, რომელიც მოიხმარდა წყალს მასში ფტორის ბუნებრივი კონცენტრაციით 1,5მგ/ლ-ზე ზევით, ფლუოროზის

გავრცელების დონემ მიაღწია 92%-დან 100%-მდეც კი (Fatima del Carmen Aguilar-Díaz,et al.,2017).

ენდმური ფლუოროზის მაღალი კორელაციური კავშირი გამოვლინდა სასმელ წყალში არსებულ ფტორის კონცენტრაციასთან ეთიოპიაში სკოლის მოსწავლეთა კვლევის დროს. იმ უბანში, სადაც ფტორის კონცენტრაცია 10-14 მგ/ლ შორის მერყეობდა, ფლუოროზის გავრცელების დონემ 91%-100% მიაღწია (Robinson C, Kirkham J.1990).

კანადაში, კერძოდ ტროის-რივიერაში და შერბრუკში ჩატარდა რანდომიზებული კვლევა სკოლის მოსწავლეთა შორის. ორივე რეგიონში განსხვავებული იყო წყალში ფტორის კონცენტრაციის მაჩვენებლები. სულ გამოიკვლიეს 936 მოსწავლე 11-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ იქ სადაც ფტორის რაოდენობა სასმელ წყალში აღემატებოდა 1 მგ/ლ-ს, ფლუოროზი აღენიშნათ სკოლის მოსწავლეთა 58%-ს, ხოლო იმ რეგიონში, სადაც ფტორის რაოდენობა სასმელ წყალში ნაკლები იყო 1მგ/ლ-ზე ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელი არ აღემატებოდა 31%-ს (Ismail A.I., et al.1990).

ფლუოროზის გავრცელების დასადგენად, ინდოეთში გამოიკვლიეს 20 საჯარო სკოლის მოსწავლე 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მაჩვენებლების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი) შეირჩა 4 უბანი. მიღებული შედეგები კი ასე გამოიყურებოდა - სასმელ წყალში ფტორის დაბალი მაჩვენებლის მქონე უბანში ბავშვთა 17.6%-ს აღენიშნებოდა ფლუოროზი, ფტორის საშუალო მაჩვენებლის მქონე უბანში ფლუოროზის გავრცელების დონე 32.4%-ს აღწევდა, ხოლო სასმელ წყალში ფტორის მაღალი მაჩვენებლის მქონე უბნებში პროცენტული მაჩვენებლები აჭარბებდა 54.8%-სა და 60.5%-ს (JR Sukhabogi.,et al.2014).

1.6 კბილის მაგარი ქსოვილების ეროზია

მინანქრის ეროზია - ეს არის კბილის მაგარი ქსოვილების შეუქცევადი ხასიათის დაზიანება, გამოწვეული მჟავა გარემოს ქიმიური ზემოქმედებით, პროცესში ბაქტერიების ჩარევის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაავადება არც თუ ისე

დიდი ხნის წინ შეუერთდა ბავშვთა ქრონიკული დაავადებების რიგს, იგი უკვე აღიარებულია, როგორც სტომატოლოგიური ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა (Harley K.,1999), (U.S.Department of Health and Human Services.2007). ბავშვთა ასაკში ეროზიის გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი 10%-დან 80%-მდე მერყეობს. გამომდინარე იქიდან, რომ, სარძევე თანკბილვის დროს მინანქრის ქსოვილი მეტად თხელი და ნაკლებად მინერალიზებულია, ეროზიების განვითარების რისკი უფრო მაღალია ცვლადი თანკბილვის პირობებში, ვიდრე მუდმივ თანკბილვაში (Taji S, Seow WK, 2010). ეროზიები ხშირად უვითარდებათ პაციენტებს ზედა ყბის ცენტრალურ და გვერდით საჭრელებზე, ვესტიბულარული მხრიდან, ასევე გვხვდება ეშვებზეც და პრემოლარებზეც. იშვიათად შემთხვევებში ეროზია შეიძლება განვითარდეს კბილის გვირგვინის სასისკენა და ენისკენა ზედაპირებზეც.

ეროზიების განვითარება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მინერალური ცვლის დარღვევებთან, ენდოკრინული და სხვა დარღვევების დროს. ეროზიის საწყის ეტაპზე, მინანქარი კარგავს მის სიპრიალეს. ჩამოყალიბებული ეროზია წარმოადგენს მინანქრის ოვალური ფორმის დეფექტს, ჩვეულებრივ ეროზიის ფსკერი კრიალა და მაგარია. ეროზიის თანდათანობითმა ზრდამ და ჩაღრმავებამ შესაძლოა გამოიწვიოს მინანქრის სრული განლევა და დენტინის გაშიშვლება (Dugmore, C.R; Rock W.P.2004). ეროზიის დროს ტკივილი ან არ აღინიშნება, ან სუსტადაა გამოხატული. თუმცა, ზოგჯერ, გაშიშვლებულ დენტინს ახასიათებს მომატებული მგრძნობელობა (Pindborg J.1970). ეროზიის განვითარებას ბავშვთა ასაკში თან ახლავს ისეთი ცვლილებები პირის ღრუში, როგორიცაა, კბილთა ჰიპერმგრძნობელობა, კვების გაძნელება, თანკბილვაში ცვლილებები, ესთეტიური დისკომფორტი, დენტინის ძლიერი გაშიშვლების შემთხვევაში კი აღინიშნება კბილების ჰიპერესთეზია ტემპერატურული გამღიზიანებელზე, პულპის ქსოვილის დაზიანება და აბსცესის განვითარებაც კი (Linnett V, Seow WK.2001); (Luo A; et al.,2005).

კბილის მაგარ ქსოვილთა ეროზიები, კლინიკური გამოვლინების მიხედვით იყოფა სამ ხარისხად (Imfeld T, 1996).

I ხარისხი - მინანქრის ზედაპირული ფენის დაზიანება;

II ხარისხი - მინანქრის და დენტინის ლოკალური დაზიანება. გაშიშვლებულ დენტინს უკავია დაზიანებული ზედაპირის ერთ მესამედზე ნაკლები;

III ხარისხი-გენერლიზებული დაზიანება, გაშიშვლებული დენტინი შეადგენს ეროზიის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტს.

მრავალრიცხოვანი კლინიკური და ლაბორატორიული კვლევები ადასტურებს გადაჭარბებული მჟავე სასმელის მოხმარებას კბილის ქსოვილის ეროზიული დაზიანების მქონე პაციენტებში. კბილის ქსოვილების ეროზიის გამომწვევად ითვლება მჟავე საკვები და სასმელი, რომელთა pH არის 5.0-5.7-ზე ნაკლები, მათ შორისაა ხილის წვენები და გაზიანი სასმელები. გარდა ამისა, ეროზიის გამომწვევ ფაქტორთა შორის აქტიურად მოისაზრება ღვინო, რომლის pH დაბალია 3.0-3.7-ზე. ეროზიის წარმოქმნის სხვა რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ქლორირებული საცურაო აუზების წყლის გავლენა კბილის ქსოვილებზე, გასტროეზოფაგური რეფლუქსი, კუჭის მჟავების რეგურგიტაცია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი და ბულემია (Mandel, Louis. 2008). დამახასიათებელი შესახედაობა აქვს ბულემიის შედეგად წარმოქმნილ ეროზიას. ასეთ დროს ცვეთას განიცდის ზედა ყბის ფრონტალური კბილების შიგნითა ზედაპირები (Barron RP,et al.,2003).

მრავალი მკვლევარის ნაშრომი მიუთითებს მინანქრის ეროზიის გავრცელების მაჩვენებელის (ETW ინდექსი) ზრდას 5.7%-დან 65%-მდე ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში (Nunn et al., 2003; Jaeggi and Lussi, 2006). რაც შეეხება მცირეწლოვან ბავშვთა კონტიგენტს, ეროზიის გავრცელების შესახებ ეპიდემიოლოგიური კვლევები საკმაოდ მწირია, თუმცა, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეროზიის გავრცელება ბავშვთა ასაკის მოსახლეობაში ვარირებს 2-57%-მდე (Vivienne Linnett,W.Kim Seow.2001). მკვლევართა მონაცემებით, გამოკვლეულ ბავშვთა დაახლოებით 20-30%-ს აღენიშნებოდა ეროზიული დაავადება, პროცესში მინანქრის სულ მცირე ერთი ზედაპირის დაზიანების ჩართვით (Millward et al., 1994a; Jones and Nunn, 1995; Al-Malik et al., 2001; Wiegand et al., 2006).

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეროზიის გავრცელების ციფრობრივი მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავებულია პოპულაციების, ასევე, სარძევე და მუდმივი თანკბილვის მიხედვით. დიდი ბრიტანეთის 2-დან 5 წლამდე ასაკის

ბავშვთა მოსახლეობის 24%-ს აღმოაჩნდა ეროზიული დაზიანება, რომელთაგან 8%-ს მესამე ხასისხის ეროზია განვითარებული ქონდა კბილთა სასისკენა ზედაპირზე. იმავე ქვეყნის, 4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა სარძევე თანკბილვაში ეროზიის გავრცელების პროცენტულმა მაჩვენებელმა მიაღწია 65%-ს, ხოლო მუდმივი თანკბილვის დროს, 7-დან 14 წლამდე ბავშვთა მოსახლეობაში ეროზიის გავრცელება გაუტოლდა 31%-ს (Walker A, et al.,2000). მაშინ, როდესაც გერმანიის 8-დან 11 წლამდე ბავშვთა კონტიგენტში დაავადების გავრცელებელის მაჩველებელი საკმაოდ მაღალია და ეს ნიშნული აღწევს 71%-ს (O'Brien M.1993). Kazoullis იყო პირველი, რომელმაც ავსტრალიის კონტინენტის ბავშვთა მოსახლეობის ეროზიული დაავადებების შესახებ მოგვაწოდა ცნობები. კვლევის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 6-დან 14 წლამდე ასაკის 714 სკოლის მოსწავლეს, ცვლადი თანკბილვის პირობებში ეროზიული დაზიანებების რიცხვი აღწევდა 78%-ს. ხოლო მუდმივი თანკბილვისას ეროზიის გავრცელების სიხშირე შემცირდა 25%-მდე. თუმცა, ამავე ავტორის მონაცემებით, ეროზიის გარკვეული ფორმები მოზარდთა მხოლოდ 2%-ს აღმოაჩნდა (Kazoullis S,et al.,2007). ასევე, დადგინდა მჭიდრო კავშირის არსებობა ეროზიულ და ჰიპოპლაზიურ დაზიანებებს შორის, როგორც სარძევე ასევე მუდმივ თანკბილვაში. მინანქრის ჰიპოპლაზიის დროს დემინერალიზაციური პროცესების არსებობა და მჟავა გარემოს წარმოქმნა, ხელს უწყობს კბილის ზედაპირზე ეროზიული დაზიანების განვითარებასა და შემდგომში კბილის სტრუქტურის რღვევას. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, მუდმივი თანკბილვის მქონე ბავშვევში ეროზიის გავრცელება ვარირებს 10%-დან 90%-მდე (Al-Majed I,et al.,2002).

ეროზიის გავრცელების სიხშირისა და ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის ბრაზილიის ქალაქ დიადემაში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა 3-4 წლის ასაკის 967 მოსწავლეს. ეროზიის გავრცელება შეადგენდა 51.6%-ს. დაზიანებული კერების უმეტესი წილი ლოკალიზებული იყო კბილის მინანქრზე, მისი ზედაპირის 2/3-ზე მეტი ფართობის დაზიანებით (91%). სტატისტიკურად არასანდო აღმოჩნდა კორელაციური კავშირის არსებობა ეროზიულ დაზიანებასა და სოციო-ეკონომიკურ, გარემო და კვებით ფაქტორებს შორის, განსხვავებით ხილის წვენების მიღების, ასაკისა და გასტრო-ეზოფაგური ფაქტორებისაგან. სტატისტიკური

ანალიზის მიხედვით, საბავშვო ბაღის ბავშვთა კონტიგენტში გამოვლინდა ეროზიის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი და დადებითი კორელაციური კავშირის არსებობა ხილის წვნების მოხმარებას (p =0.043, r=0.023), ასაკსა (p=0.003) და გასტრო-ეზოფაგურ რეფლუქს შორის (p = 0.005) (Christiana Murakami,et al.,2011).

1984 წელს И.М.Максимовский-ს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, ქსოვილების ეროზიული დაზიანება გამოუვლინდა გამოკვლეულთა 4.6%-ს (Максимовский Ю.М.1984). 1981 წელს, მოსკოვში გამოიკვლიეს 12-60 წლამდე ასაკის მოსახლეობის 1000-ზე მეტი მოქალაქე. აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილეთა 27.6%-ში გვხვდებოდა კბილების არაკარიესული წარმოშობის დაზიანებები. დაავადებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. პათოლოგიური ცვეთა-18%
2. სოლისებრი დეფექტი-4.7%
3. ეროზია-2.6%
4. ჰიპოპლაზია-2.3% (Кабелева В.И.1981)

1967-1970 წლებში В.И. Самодин-მა 4000 ადამიანზე ჩატარებული კვლევის თანახმად, დაასკვნა, რომ 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში კბილთა პათოლოგიური ცვეთა და ეროზია აღინიშნებოდა იშვიათად. შედარებით მოზრდილთა ჯგუფში (35-40 წელი) იგივე დაავადებების გავრცელების მაჩვენელები 16.5%-18.8%-ს შეადგენდა. მაშინ როცა, 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში კბილთა პათოლოგიური ცვეთა და ეროზია გამოკვლეულთა 23-25%-ს აღენიშნა (Самодин В.И. 1970).

ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში, კბილის მაგარი ქსოვილების სოლისებრი და ეროზიული დაზიანებების მაღალი სიხშირე (5%-დან 85%-მდე) გამოვლინდა 2012-2013 წლებში ჩატარებული კვლევის მონაცემებით. საკვლევი პოპულაცია მოიცავდა 187 მამაკაცს და 108 ქალს, ასაკის ვარიაციით 21-დან 80 წლამდე ინტერვალით. ეროზიული დაზიანების სიმძიმე შეფასებული იყო „tooth wear index“-ით (Smith B, Knight J.1984). აღმოჩნდა, რომ 295 საკვლევი ობიექტიდან 214 ინდივიდს (72.5%) ქონდა სულ მცირე ერთი ეროზიული დაზიანება მაინც. ხოლო გავრცელების ყველაზე მაღალი რიცხვობრივი მაჩვენებელი გამოვლინდა 40 წლის ასაკობრივ ჯგუფში (Wenjuan Yan .,et al.2014).

1.7 სოლისებრი დეფექტი

სოლისებრი დეფექტი - ეს არის კბილის ქსოვილის დაზიანება, რომელიც ვლინდება მარგინალური ღრძილის საზღვარის მიდამოში. ასეთი პათოლოგია ხშირად ვითარდება ფრონტალური კბილების და პრემოლარების არეში, ძირითადად ვესტიბულარული, იშვიათად პალატინური ან ორალური მხრიდან. ვიზუალურად დაზიანებას აქვს „სოლის" ფორმა, აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც, ხოლო მორფოლოგიურად ეროზიული დაზიანების მსგავსია. ტერმინი "სოლისებრი დეფექტი'' პირველად გაჟღერდა 1991 წელს John O.-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „სოლისებრი დეფექტი - კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანების ახალი კლასიფიკაცია'' (Grippo, John O.1991). ეს სტატია იყო პირველი, რომელმაც გამოავლინა სოლისებრი დეფექტი, როგორც კბილის მაგარი ქსოვილის დაზიანების ახალი ფორმა, განსხვავებული ეროზიისა და პათოლოგიური ცვეთისგან. არსებობს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი თეორია, იმის შესახებ თუ სადაა ლოკალიზებული სოლისებრი დეფექტი, მინანქარ-დუღაბის საზღვრის ქვევით თუ ზევით. Hur-ის თეორიის თანახმად, აღნიშნული დაზიანება ყოველთვის გვხვდება მხოლოდ ამ საზღვრის ზედა მიდამოში (Hur B., et al.2011). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი კვლევის შედეგის მიხედვით სოლისებრი დეფექტი შეიძლება ლოკალიზდეს დაზიანებული კბილის ყელის ნებისმიერ მიდამოში. მაშინ, როდესაც არსებობს ძლიერი სტრესული გარემო, ორი ან მეტი სოლისებრი ფორმის დეფექტი ვლინდება ერთსა და იმავე კბილის ერთ ზედაპირზე (Borcic J.,et al.2005). სოლისებრი დეფექტი ვითარდება ნელა, რის გამოც მისი ზედაპირი გლუვი, მკვრივი და ბზინვარეა, ზოგჯერ-პიგმენტირებული. სოლისებრი დეფექტით დაზიანება უფრო ხშირად გვხვდება საშუალო და ხანდაზმულ ასაკში. ბავშვებში საკმაოდ იშვიათია. დაავადების ეტიოლოგია საბოლოოდ დღემდე არ არის გარკვეული. ზოგიერთი მკვლევარი მას უკავშირებს კბილის ქსოვილთა დისტროფიას, განპირობებულს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებებით, ენდოკრინული და ცენტრალური ნერვული სისტემების დარღვევებით. ასევე, კბილის ზედაპირზე ჯაგრისის მექანიკურ ზემოქმედებას, როდესაც ზედმეტი გადატვირთვის შედეგად კბილის

ყელის მიდამოში ხდება მინანქრის პრიზმების დეფორმაცია გაჭიმვის სახით (შიშნიაშვილი თ. 2004).

თეორიულად მოისაზრება, რომ სოლისებრი დეფექტის დროს კბილის ქსოვილის დაზიანების უშუალო მიზეზი არა კბილი, არამედ ღეჭვის, მოკბეჩის და ჭამის დროს ძალების არათანაბარი განაწილებაა. ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრუქსიზმს (Tsiggos N., et al.2008). მინანქარი, განსაკუთრებით მინანქარ-დუღაბის მიდამოში განიცდის სტრესს, რაც მიკრო მოტეხილობების და კბილის ქსოვილის დაკარგვის მიზეზი ხდება (Michael, JA et al.,2009). აღნიშნულმა დაავადებამ შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც მცირე ზომის დეფექტი, ასევე მთლიანი გვირგვინის მოტეხილობაც (Bartlett, D.W. Shah, P. 2006).

დაავადების პროგრესირებასთან ერთად, ხდება დენტინის ქსოვილის დაზიანება, რაც შემდგომში ვლინდება კბილის ქსოვილების ჰიპერმგრძნობელობით მექანიკურ, თერმულ და ქიმიურ გამღიზიანებლებზე. საბოლოოდ ამ ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს პულპის დაზიანება და კბილის სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვა (Palamara J.E.A.,et al.,2006). გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანების სიღრმე არ აღემატება 1 მმ-ს, საჭიროა სოლისებრი დეფექტის მკურნალობა. დეფექტის აღდგენა-რესტავრაცია ხდება თანამედრომე ესთეტიური მასალებით, როგორიცაა კომპოზიციური საბჟენი მასალები, კომპომერები და მინაიონომერული ცემენტი. სამწუხაროდ, ითვლება, რომ ეს არის ნაკლებად მდგრადი რესტავრაციის ტიპი და აქვს მაღალი ინდექსი რეტენციის დარღვევის, მარგინალური დაზიანებისა და რეციდიული კარიესის მიდრეკილებისადმი (Peaumans M, et al.,2007).

მრავალი კვლევით დადასტურდა უშუალო კავშირის არსებობა სოლისებრი დეფექტის განვითარებას, ენდოკრინული დარღვევებსა და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციას შორის (Joseph A. Regezi, et al.,2016).

2016 წელს ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ პოპულაციაში ჩატარებული კვლევის შედეგებით, 1000 გამოკვლეულიდან 406-ს აღენიშნა სხვადასხვა სახის არაკარიესული დაზიანება. აქედან თითქმის თანაბრად გადანაწილდა პროცენტული მაჩვენებლები ეროზიასა და სოლისებრ დეფექტზე -

4.6% და 5.3%. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დაავადებების გავრცელება სქესის მიხედვით. მამრობითი სქესის წარმომადგენლებში დაავადებების გავრცელებამ მიაღწია 45.06%-ს, ხოლო მდედრობით სქესში 29.19%-ს. ეროზიის გამომწვევ ეტიოლოგიურ ფაქტორთა შორის კი მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მჟავე პროდუქტის რეგურგიტაციას (15.1%) (Mithra N., Hegde, 2018).

1.8 არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა შესაძლო კავშირი ორგანიზმის სისტემურ დაავადებებთან

პირის ღრუსა და კბილთა ქსოვილების მდგომარეობას ოდითგანვე ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობისა და თანმხლები დაავადებების ფონზე განიხილავდნენ. კბილთა არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა განვითარებასა და გამოვლენაზე დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის ფონური დავადებები. რიგ ავტორთა მონაცემებით, კბილთა არაკარიესული დაზიანებები ხშირად მიმდინარეობს ისეთი დაავადებების ფონზე, როგორიცაა რევმატიზმი, რკინადეფიციტური ანემია, რაქიტი, თირკმლის უკმარისობა და სხვა (Cohen S.,et al.,1976. Peter-Baron U.,et al.,1980).

კუჭ-ნაწლავის დაავადებები ხასიათდება პირის ღრუში ხშირი მანიფესტირებით, უმეტესად მინანქრის დეფექტებისა და რძიანას სახით. ამას ადასტურებს Bucci-ს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებიც. კვლევაში მონაწილე 162 ჯანმრთელი ინდივიდი წარმოადგენდა საკონტროლო ჯგუფს, ხოლო მეორე ჯგუფი აერთიანებდა 72 პაციენტებს კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებით. მიღებული შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: მინანქრის დეფექტები გამოვლინდა კუჭ-ნაწლავის პათოლოგიის მქონე პაციენტთა 20%-ში, მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფში არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა გავრცელება არ აღემატებოდა 5.6%-ს (Paolo Bucci., et al.2006).

თანამედროვე სტომატოლოგიაში, მიუხედავად უახლესი კომპოზიციური მასალებით მკურნალობისა, პაციენტთა მომართვიანობა ბჟენის ამოვარდნის მიზეზით არაკარიესული დაავადებების დროს (ეროზია, სოლისებრი დეფექტი, კბილთა პათოლოგიური ცვეთა) არცთუ იშვიათად გვხვდება. აღნიშნული მოწმობს

ბჟენის ქვეშ კბილის ქსოვილთა დემინერალიზაციის პროცესების მიმდინარეობას ფონური დაავადებების დროს (Лауранд В.М.1982).

კბილთა არაკარიესულ დაავადებებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევასაც უკავშირებენ. Максимовский-ის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, მუშათა იმ ჯგუფს, რომელთაც არ ქონდათ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, სოლისებრი დეფექტის და კბილთა პათოლოგიური ცვეთის დაბალი მაჩვენებელი აღეშნებოდათ (4.7%), ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მქონე მუშებთან შედარებით (13.2%) (Максимовский Ю.М. 1980).

დადგინდა, რომ კბილთა პათოლოგიური ცვეთა, ჯანმრთელ პირებთან შედარებით, უფრო ხშირად გვხვდება რევმატიზმით დაავადებულ პაციენტებში (30%) (Ремизов С.М. 1989).

მინანქრის მაგარი ქსოვილების დაზიანება ეროზიის სახით, ხშირად აღენიშნებათ ნევროზული ანორექსიის და ბულემიის მქონე პაციენტებს. Roberts-ის კვლევის მონაცემებით, ზემოაღნიშნული დაავადების მქონე პაციენტთა გამოკვლევისას, მონაწილეთა 35%-ში გამოვლინდა კბილთა სასისკენა ზედაპირის ეროზია, კუჭის შიგთავსის მჟავე გარემოს მუდმივი ზემოქმედების შედეგად (Roberts M.W et al., 1987).

ბოლო წლებში ორგანიზმის იმ ფონური დაავადებებიდან, რომლებიც მნიშვნელოვნად მოქმედებს კბილთა არაკარიესული დაავადებების განვითარებაზე, განსაკუთრებით გამოიყო და ყურადღება მიექცა სასქესო ჯირკვლების დაავადებებს. ენდოკრინული და სასქესო ჯირკვლების პათოლოგიების დროს, არაკარიესული დაავადებების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება - 45.7% და 15.5% (Дрожжина В.А.1995).

საინტერესო შედეგები გამოვლინდა მეზღვაურთა გამოკლვევისას. სოლისებრი დეფექტი, ეროზია და კბილთა პათოლოგიური ცვეთა აღინიშნა ორჯერ უფრო ხშირად მეზღვაურებში (21.7%), ნაპირზე მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით (13.2%) (Шустова Е.Н. 1989).

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა სიხშირე უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას

ცხადყოფს რუსეთში ამ დაავადებათა უფრო ხშირი გამოვლენა წინა წლებთან შედარებით. ავტორთა აზრით, აღნიშნული დაკავშირებულია ეკოლოგიური პირობების გაუარესებასა და ჩერნობილის აფეთქებასთან (Чернобыльская П.М.1993. Федоров Ю.А.1996). ამის დასამტკიცებლად, ჩატარდა იმ ექიმთა გამოკვლევა, რომლებიც 1996-1997 წლებში სწავლობდნენ სანკტ-პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების აკადემიაში. სულ შეირჩა 512 მონაწილე 25-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში. დადგინდა, რომ გამოკვლეულთა 74%-ს აღენიშნებოდათ კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესული წარმოშობის დაავადებები. აქედან, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ეკუთვნოდა ეროზიის შემთხვევებს - 47.2%. შედარებით ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი ქონდა პათოლოგიური ცვეთის შემთხვევებს - 21.8%, ხოლო სოლისებრი დეფექტის სიხშირე 19.3%-ს აღწევდა. მინანქრის ჰიპოპლაზია გამოვლინდა გამოკვლეულთა 4,3%-ში, კბილის ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელი კი მხოლოდ 1%-ს აღწევდა. ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს არაკარიესული დაავადებების ცალკეული ნოზოლოგიური ფორმის გავრცელების მაღალ მონაცემს. 1992 წელს Агапова -ს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით 10%-დან 74%-მდე გაიზარდა კბილთა არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა რიცხვი წინა წლებთან შედარებით. აქედან, სოლისებრი დეფექტის რაოდენობის მაჩვენებელი მერყეობდა 2.3%-დან 19.3%-მდე, პათოლოგიური ცვეთა 18%-დან 21.8%-მდე და ეროზიები 2.6%-დან 47.2%-მდე (Агапова Т.А.1992).

კბილთა რადიაციული დაზიანებისა და ქიმიური ნეკროზის გარდა, ბოლო წლებში გამოვლინდა კბილთა დაზიანება ე.წ. „კომპიუტერული“ ნეკროზის სახით, რაც დაკავშირებულია ჩვენს თანამედროვე ყოფასთან, კერძოდ კი კომპიუტერთან მრავალსაათიან მუშაობის მავნე გავლენასთან. თანამედროვე ეპოქაში, ასევე, არცთუ ისე იშვიათად ვლინდება კბილთა ქსოვილის ტოქსიური ნეკროზი, როგორც ტოქსიკომანიის სავალალო შედეგი (Sammy Noumbissi, 2015).

თავი 2. კვლევის მასალა და მეთოდები

2.1. დოკუმენტური ანალიზისა და ისტორიული კვლევის მეთოდი

დოკუმენტური ანალიზისა და ისტორიული კვლევის მეთოდი მოიცავდა 1965-2018 წლების მანძილზე გამოქვეყნებულ კვლევებს არაკარიესული დაავადების, კერძოდ, ფლუოროზისა და სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის ურთიერთკავშირის, ჰიპოპლაზიური დაზიანების მქონე კბილებზე კარიესის განვითარების ალბათობის, და ასევე დედის მიერ ორსულობის დროს გადატანილ მწვავე და ქრონიკულ დაავადებებსა და ჰიპოპლაზიას შორის კავშირის არსებობის, სოლისებური დეფექტებისა და ეროზიული დაზიანებების გამოვლენის შესახებ. გამოყენებულ იქნა ფაქტების შედარების მეთოდი, ლოჯისტიკური ანალიზი და შესრულებულ იქნა პროსპექტული კვლევა.

კვლევათა უმეტესობა ადასტურებს, რომ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ როდესაც აშშ-სა და ევროპის უმეტეს ქვეყნებში მასიურად დაიწყო სასმელი წყლის ფტორირება, კარიესული დაავადების გავრცელება შემცირდა. ხოლო მეოცე საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებულმა კვლევებმა იგივე ცვლადებს შორის დაადასტურა უმეტესად სუსტი, ხოლო რიგ შემთხვევებში უარყოფითი კორელაცია.

მას შემდეგ, რაც ფრედერიკ მაკკეიმ აღმოაჩინა ფტორის იონების კარიოსტატული მექანიზმი, როგორც აშშ-ში, ასევე ევროპის უმეტეს ქვეყნებში დაინერგა პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები ძირითადად შემოიფარგლებოდა სასმელი წყლის ფტორირებით, ფტორის შემცველი კბილის პასტებისა და ფტორის შემცველი ტაბლეტების გამოყენებით.

1965 წლიდან 2018 წლამდე გამოქვეყნებული კვლევების ძირითად საძიებელ წყაროს წარმოადგენდა PubMed Central (PMC),Google Scholar, Hinari, თუმცა ასევე გამოყენებულ იყო ResearchGate.net, Karger.com, Ada.org, onlinelibrary.wiley.com, jdr.sagepub.com.

2.2 კლინიკური კვლევა

Georgian Water and Power (GWP)-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის რაიონული განაწილება სასმელი წყლის მიწოდების მიხედვით შემდეგნაირია: ვაკე-საბურთალოს რაიონი მარაგდება არაგვის ხეობიდან, ისანი-სამგორის რაიონი_სამგორის ხეობიდან, ხოლო გლდანი-ნაძალადევის რაიონი_ღრმა-ღელის ხეობიდან. აქედან გამომდინარე კვლევისთვის შეირჩა სწორედ ეს სამი რაიონი.

სასმელი წყლის რაიონთაშორისი შედარებისას სტატისტიკურმა შედეგებმა (Oneway ANOVA) ცხადყო, რომ ფტორის კონცენტრაციის მიხედვით ვაკე-საბურთალოს რაიონის სასმელი წყალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის სასმელი წყლისგან ($P<0.05$), ხოლო ისანი-სამგორის რაიონისა და გლდანი-ნაძალადევის სასმელი წყალი მასში ფტორის რაოდენობის მიხედვით უმნიშვნელოდ გასხვავდება ერთმანეთისგან ($P=0.1$). გლდანი-ნაძალადევის უბანში ფტორის კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელი სასმელ წყალში აღმოჩნდა 0.09 ± 0.002 მგ/ლ, ისანი-სამგორის რაიონში 0.11 ± 0.007 მგ/ლ და ვაკე-საბურთალოს რაიონში 0.12 ± 0.007 მგ/ლ.

კვლევაში მონაწილე პირთა შერჩევას საფუძვლად დაედო ფტორის კონცენტრაციის რაოდენობრივი განსხვავება სასმელ წყალში.

საკვლევი პოპულაცია შედგებოდა 1400 სკოლის მოსწავლისგან, რომლებიც რანდომიზებულად შეირჩნენ ქალაქ თბილისის 3 სხვადასხვა უბნის 12 საჯარო სკოლიდან. გამოკვლეულ იყო 733 მდედრობითი და 667 მამრობითი სქესის წარმომადგენელი ასაკობრივი ჯგუფით 12-15 წელი. ჯგუფობრიობის შერჩევას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული კრიტერიუმები, რომლის თანახმადაც, 12 წელი ეს არის საუკეთესო პერიოდი არაკარიესული დაავადების გავრცელების შესასწავლად, ვინაიდან ამ პერიოდისთვის ამოსულია ყველა მუდმივი კბილი გარდა მეორე და მესამე მოლარებისა. ხოლო 15 წლის ასაკის პირთა შესწავლა შინაარსობრივად კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის კვლევას (WHO, 2013).

კვლევაში ჩართულობა განპირობებულ იყო ინფორმირებული თანხმობით საჯარო სკოლის დირექტორისა და კვლევაში ჩართული თითოეული მოსწავლის მხრიდან.

კვლევის პერიოდი მოიცავდა 2014 წლის იანვრის თვიდან ამავე წლის სექტემბრის თვემდე პერიოდს.

მოსწავლეთა პირის ღრუს დათვალიერება მიმდინარეობდა სკოლის ექიმის კაბინეტში, მაქსიმალური განათებისა და ვენტილაციის ფონზე, პირის ღრუს სარკისა და ზონდის გამოყენებით (ტიპი III გამოკვლევა). სტომატოლოგიური სტატუსი განისაზღვრა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოწოდებული კრიტერიუმებითა და სტანდარტებით (რუკა 1,WHO, Oral Health Survey, 2013).

კვლევაში მონაწილე თითოეული პიროვნება, არაკარიესული დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით, ავსებდა კითხვარს, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ჰიგიენური ნორმების, კვების ხასიათისა და ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შესახებ. ჰიგიენურ ნორმებში გაერთიანებული იყო ინფორმაცია კბილების გამოხეხვის სიხშირის, სტომატოლოგთან ვიზიტისა და ფტორირებული კბილის პასტის მოხმარების შესახებ (იხ. რუკა 2). კვებითი ხასიათის კითხვები მოიცავდა გაზიანი სასმელებისა და მჟავე ხილის წვენების, მჟავე საკვების მიღების სიხშირის, ასევე NaF-ის ტაბლეტების გამოყენების შესახებ ინფორმაციას. დამატებით გამოკითხულნი იქნენ იმ პირთა მშობლები, რომელთაც აღენიშნებოდათ ჰიპოპლაზიური დაავადება. სატელეფონო საუბარი მიმდინარეობდა ბავშვთა დედებთან, მოხდა ინფორმაციის მიღება მათი ორსულობის, გადატანილი დაავადებების, ნაადრევი მშობიარობის და ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც განაპირობებენ მუცლადყოფნისა და ახალშობილობის პერიოდში ჰიპოპლაზიური დაავადების განვითარებას (იხ.რუკა 3).

ფლუოროზის შეფასება მოხდა TSIF (კბილის ზედაპირის ინდექსი ფლუოროზისათვის) ინდექსით (Horowitz HS, et al.,1989), რომელსაც აქვს შეფასების 7 ქულიანი შკალა.

ქულა 0 - მინანქარზე არ აღინიშნება ფლუოროზული დაზიანება
ქულა 1 - მინანქარზე შეინიშნება მოთეთრო ფერის ლაქები, რომლებიც მოიცავს მინანქრის საერთო ზედაპირის ერთ მესამედზე ნაკლებს.
ქულა 2 - თეთრი ფლუოროზული ლაქები ჩანს მინანქრის ზედაპირის სულ მცირე ერთ მესამედზე.
ქულა 3 - თეთრი ლაქები აღინიშნება მინანქრის ზედაპირის ორ მესამედზე.
ქულა 4 - მინანქრის ზედაპირზე აღინიშნება მოყვოთალო-მოყავისფრო ფერის ლაქები.
ქულა 5 - მინანქრის ზედაპირზე აღინიშნება შემღვრეული და უსწორმასწორო ფორმის მინანქრი.
ქულა 6 - მინანქარზე შეინიშნება, როგორც ღაროვანი ფორმის დაზიანებები, ასევე
ფლუროზული ლაქები.
ქულა 7 - კბილის ანატომიური ფორმა შეცვლილია მასზე ფლუოროზული ღარების არსებობის გამო. მუქი ყავისფერი ლაქები კვლავ შესამჩნევია მინანქრის ზედაპირზე.

ჰიპოპლაზიის შესაფასებლად მოხდა სილბერმანის კლასიფიკაციის გამოყენება, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ჰიპოპლაზიის 4 ტიპი.

ტიპი I	ლაქოვანი ფორმა, რომელიც ვლინდება თეთრი, იშვიათად მოყვითალო ფერის ლაქებით.
ტიპი II	წერტილოვანი ფორმა, რომელიც ვლინდება კბილის გვირგვინის სხვადასხვა უბანში შემოფარგლული დეფექტის სახით.
ტიპი III	დაღაარული ფორმა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სიღრმის და სიგანის მინანქრის განივი ჩაღრმავებების სახხით.
ტიპი IV	შერეული ფორმა, ვლინდება თეთრი ლაქების, ღარების და ეროზიების მონაცვლეობით ან ერთდროული არსებობით.

ეროზიული დაზიანების შეფასება მოხდა “Tooth wear index“ საშუალებით.

Score	Surface	Criteria
0	B/L/O/I C	No loss of enamel surface characteristics. No loss of contour.
1	B/L/O/I C	Loos of enamel surface characteristics. Minimal loss of contour.
2	B/L/O I C	Loss of enamel exposing dentine for less than one third of surface. Loss of enamel just exposing dentine. Defect less than 1 mm deep.
3	B/L/O I C	Loss of enamel exposing dentine for more than one third of surface. Loss of enamel and substantial loss of dentine. Defect less than 1-2 mm deep.
4	B/L/O I C	Complete enamel loss - pulp exposure - secondary dentin exposure. Pulp exposure or exposure of secondary dentine. Defect more than 2mm deep - pulp exposure - secondary dentine exposure.

B: buccal; L: lingual; O: occlusal; I: incisal; C: cervical.

Smith and Knight tooth wear index

რუკა 1.

Annex 1

World Health Organization
Oral Health Assessment Form for Adults, 2013

Leave blank	Year	Month	Day	Identification No.	Orig/Dupl	Examiner
(1) ☐☐☐☐ (4)	(5) ☐☐	☐☐	☐☐ (10)	(11) ☐☐☐☐ (14)	☐ (15)	(16) ☐☐ (17)

General information: **Sex** 1=M, 2=F ☐ (18) **Date of birth** (19) ☐☐☐☐☐☐ (24) **Age in years** (25) ☐☐ (26)

(Name)

Ethnic group (27) ☐☐ (28) **Other group**(29) ☐☐ (30) **Years in school** (31) ☐☐ (32) **Occupation** ☐ (33)

Community (geographical location) (34) ☐☐ (35) **Location** Urban (1) Periurban (2) Rural (3) ☐ (36)

Other data ____________ (37) ☐☐ (38) **Other data** ____________ (39) ☐☐ (40)

Other data ____________ (41) ☐☐ (42) **Extra-oral examination** ________ (43) ☐☐ (44)

Dentition status

	18	17	16	15	14	13	12	11	21	22	23	24	25	26	27	28	
Crown (45)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	60)
Root (61)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(76)
Crown (77)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(92)
Root (93)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(108)
	48	47	46	45	44	43	42	41	31	32	33	34	35	36	37	38	

Permanent teeth

Status

0 = Sound
1 = Caries
2 = Filled w/caries
3 = Filled, no caries
4 = Missing due to caries
5 = Missing for any another reason
6 = Fissure sealant
7 = Fixed dental prosthesis/crown abutment, veneer, implant
8 = Unerupted
9 = Not recorded

Periodontal status (CPI Modified)

	18	17	16	15	14	13	12	11	21	22	23	24	25	26	27	28	
Bleeding (109)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(124)
Pocket (125)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(140)
Bleeding (141)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(156)
Pocket (157)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	(172)
	48	47	46	45	44	43	42	41	31	32	33	34	35	36	37	38	

Gingival bleeding

Score
0 = Absence of condition
1 = Presence of condition
9 = Tooth excluded
X = Tooth not present

Pocket

Score
0 = Absence of condition
1 = Pocket 4–5 mm
2 = Pocket 6 mm or more
9 = Tooth excluded
X = Tooth not present

რუკა 2. კითხვარი

ანკეტის ნომერი:				
სქესი:				
ასაკი:				
საცხოვრებელი ადგილი:				
ვიზიტი სტომატოლოგთან	ა) რეგულარული		ბ) არარეგულარული	
დღეში რამდენჯერ იხეხავთ კბილებს?	ა)დღეში ერთხელ	ბ) დღეში ორჯერ		დ) საერთოდ არ ვიხეხავ
დღის განმავლობაში, რამდენად ხშირად მიირთმევთ ხილის წვენს?	ა)ერთხელ	ბ) ორჯერ	გ) სამჯერ	დ) საერთოდ არ ვსვამ
დღის განმავლობაში რამდენად ხშირად მიირთმევთ მჟავე საკვებს?	ა) საერთოდ არ ვჭამ	ბ)დღეში ერთხელ		გ) დღეში რამდენიმეჯერ
რამდენად ხშირად მიირთმევთ გაზიან სასმელებს ?	ა)ყოველ დღე	ბ)კვირაში 2-4ჯერ		გ) საერთოდ არ მივირთმევ
დარღვევები ენდოკრინული სისტემის მხრივ	ა) კი		ბ) არა	
დარღვევები საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ	ა) კი		ბ) არა	
იღებდით თუ არა NaF-ის ტაბლეტებს?	ა) დიახ		ბ) არა	
იყენებთ თუ არა ფტორირებულ კბილის პასტას?	ა) დიახ		ბ) არა	

რუკა 3. კითხვარი

1. ორსულთა ტოქსიკოზი:	
ა) დიახ	ბ) არა
2. ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული დაავადებები:	
ა) დიახ	ბ) არა
3. ორსულთა ანემია:	
ა) დიახ	ბ) არა
4. მცირეწონიანი ბავშვები:	
ა) დიახ	ბ) არა
5. ნაადრევი მშობიარობა (დღენაკლული ბავშვი):	
ა) დიახ	ბ) არა
6. ახალშობილთა ინფექციური დაავადებები:	
ა) დიახ	ბ) არა

2.3. სტატისტიკური ანალიზი

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა როგორც კლასიკური მათემატიკური სტატისტიკის არაპარამეტრული და პარამეტრული მეთოდების, ისე მრავალგანზომილებიანი მეთოდების გამოყენებით, მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS-21 მეშვეობით.

მონაცემები დამუშავდა IBM SPSS.21-ში.

მონაცემების დამუშავება და შესაბამისად, ანალიზი დაიწყო იმის გარკვევით, თუ რამდენად ხშირად გვხვდებოდა კვლევაში ჩართული ნიშნები, ანუ სიხშირეთა განაწილების ცხრილების შედგენით და გრაფიკების აგებით. შემდეგი ეტაპზე გამოთვლილ იქნა – საშუალო მაჩვენებელი, ეგრეთ წოდებული „ცენტრალური ტენდენცია“, რაც შედარების საშუალებას გვაძლევდა. რიგის სკალაზე საშუალო მაჩვენებელია „მედიანა“. ამასთანავე, რიგის სკალის მონაცემები შეიძლება იყოს ორგვარი: ვიწრო და ფართო დიაპაზონის. ჩვენ შემთხვევაში ყველა კითხვა ვიწრო დიაპაზონს განეკუთვნებოდა, ვინაიდან კითხვარში გამოყენებული იყო 5- ან 7-საფეხურიანი საზომი, ანუ პასუხების რაოდენობა შეზღუდული იყო. ამიტომ გამოყენებულ იქნა დამოკიდებულების საზომი ეგრეთ წოდებული „ლაიკერტის“ სკალა. ვიწრო დიაპაზონისათვის მედიანა გამოთვლილ იქნა, როგორც 50-ე პროცენტი (ინტერვალური, დაგროვილი სიხშირიდან გამოთვლილი პროცენტი). აქვე უნდა

ითქვას, რომ არსებული ტრადიციის შესაბამისად, ლაიკერტის სკალის შემთხვევაში საშუალო მაჩვენებლის სახით ხშირად გამოიყენება საშუალო არითმეტიკული (ნორმალური განაწილების შემთხვევაში საშუალო არითმეტიკული ემთხვევა მედიანას). მაგრამ მაინც უფრო მკაცრ გზას მივანიჭეთ უპირატესობა და შესადარებლად გამოვიყენეთ მედიანა. შესაბამისად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამას ანალიზის მიზნები ითხოვდა და შესასწავლი ცვლადი რიგის სკალას განეკუთვნებოდა, ანუ შედარების საშუალებას იძლეოდა, გამოთვლილია მედიანა.

მონაცემთა დამუშავების მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები იძლევა ცვლადებს შორის კავშირის (კორელაციის) არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევის საშუალებას. ამისათვის გამოვიყენეთ ეგრეთ წოდებული „კორელაციის კოეფიციენტი" – ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირის სიძლიერისა და მიმართულების საზომი. კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობათა დიაპაზონია „-1"-დან „+1"-მდე. ურთიერთკავშირის მიმართულება განისაზღვრება ორი ცვლადის მნიშვნელობას შორის პირდაპირი ან უკუმიმართებით: თუ ერთი ცვლადის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე მეორე ცვლადის მნიშვნელობაც იზრდება, მაშინ ურთიერთკავშირი „პირდაპირია" (დადებითი); თუ ერთი ცვლადის მნიშვნელობის ზრდას შეესაბამება მეორე ცვლადის მნიშვნელობის კლება, საქმე გვაქვს უკუკავშირთან (უარყოფითი ურთიერთკავშირი). ამრიგად, ურთიერთკავშირის მიმართულებაზე მიუთითებს კორელაციის კოეფიციენტის ნიშანი (პლუსი ან მინუსი).

სხვადასხვა სკალის შემთხვევაში გამოიყენება სხვადასხვა კორელაციის კოეფიციენტი. რიგის სკალის ვიწრო დიაპაზონის შემთხვევაში გამოიყენება კენდალის კორელაციის კოეფიციენტი – ეგრეთ წოდებული „კენდალის ტაუ". მ. კენდალის მიერ შემუშავებული კოეფიციენტი ეფუძნება შერჩევის ყველა წევრის წყვილ-წყვილად შედარებას ორი ცვლადის მიხედვით: თუ ორივე ცვლადის ცვლილების მიმართულება ემთხვევა ერთმანეთს (ორივე იზრდება ან კლებულობს), ეს პირდაპირ (დადებით) კავშირზე მიუთითებს, თუ საპირისპიროა (ინვერსიული) – მაშინ უარყოფითზე (უკუკავშირზე).

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო იყო სხვადასხვა კატეგორიის (საცხოვრებელი ადგილი – რაიონი, ასაკი, სხვა კითხვაზე გაცემული პასუხი და ა.შ.) რესპონდენტთა პასუხების შედარება. ცხადია, რომ მაშინაც კი, როცა შერჩევის დონეზე განსხვავება დასტურდება, გამორიცხული არ არის, რომ ასეთი შედეგი მიღებულია შემთხვევით, ანუ სინამდვილეში (გენერალურ ერთობლიობაში) ის არ არსებობს. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები იძლევა გამოვლენილი განსხვავების შემთხვევით მიღების ალბათობის (p) გამოთვლის საშუალებას. თუ ეს ალბათობა 5%-ს არ აღემატება, მაშინ შეიძლება მივიჩნიეთ, რომ მიღებული განსხვავება გენერალურ ერთობლიობაშიც არსებობს, ანუ შერჩევაში გამოვლენილი განსხვავება სტატისტიკურად სანდოა.

სხვადასხვა სკალის მონაცემებისათვის გამოიყენება სხვადასხვა განსხვავების სანდოობის შემოწმების სტატისტიკური მეთოდი. თუ მონაცემები სახელდების სკალაზეა გაზომილი, მაშინ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა პასუხების სიხშირის განაწილების შესადარებლად გამოიყენება პირსონის X^2 კრიტერიუმი.

რაოდენობრივ სკალაზე „გაზომილი“ ორი ქვეჯგუფის (მაგალითად, გენდერული ნიშნით გამოყოფილისა) შედარებისთვის გამოყენებულ იქნა სტიუდენტის t კრიტერიუმი. კატეგორიაში შემავალი ქვეჯგუფების ორზე მეტი რაოდენობის შემთხვევაში (ვთქვათ, ასაკი, რეგიონი და ა.შ.), ერთი ნიშნის მიხედვით განსხვავების სანდოობის შესამოწმებლად გამოიყენებულ იქნა ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი (ფაქტორი აქ ამ შესადარებელ ნიშანს გულისხმობდა). რამდენიმე ნიშნის მიხედვით შესამოწმებელი განსხვავების შემთხვევაში გამოიყენებულ იქნა მრავალგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზი, რომელმაც მოგვცა როგორც განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შემოწმების საშუალება თითოეული ნიშნის მიხედვით ცალ-ცალკე, ისე ეგრეთ წოდებული „ურთიერთქმედების ეფექტების (რამდენიმე ან ყველა ნიშნის კომბინაციის გავლენის) გამოვლენის შესაძლებლობა.

„დამოკიდებულ“ და „დამოუკიდებელ“ ცვლადებს შორის კავშირის ხასიათის დასადგენად გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზი. კორელაციური კავშირების დასადგენად კი პირსონის კორელაციური კოეფიციენტი.

რეგრესიული ანალიზი – პროგნოზირების (ექსტრაპოლაციის, განზოგადების) მეთოდი, რომელიც იძლევა ეგრეთ წოდებული „დამოკიდებული“ (შესასწავლი) ცვლადის მნიშვნელობის შესახებ პროგნოზის გაკეთების საშუალებას ერთი (მარტივი რეგრესიული ანალიზი) ან რამდენიმე (მრავლობითი რეგრესიული ანალიზი) „დამოუკიდებელი ცვლადის“ მნიშვნელობის საფუძველზე.

რეგრესიული ანალიზი ეფუძნება „დამოკიდებულ“ და „დამოუკიდებელ“ ცვლადებს შორის კავშირს, რაც, თავის მხრივ, იძლევა ეგრეთ წოდებული „რეგსესიის განტოლების“ შედგენის საშუალებას, რომელიც აღწერს ურთიერთკავშირს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის. შესაბამისად, თუ ამ განტოლებაში დამოუკიდებელი ცვლადების მნიშვნელობას ჩავსვამთ, შეიძლება გამოთვალოთ დამოკიდებული ცვლადის საპროგნოზო მნიშვნელობა. ამასთანავე, სხვა მრავალგანზომილებიანი სტატისტიკული მეთოდების მსგავსად, რეგრესიული ანალიზის შემთხვევაშიც შესაძლებელია ამ პროგნოზის სიზუსტის (ცდომილების) განსაზღვრა.

თავი 3. საკუთარი კვლევის შედეგები

3.1 კბილის არაკარიესული დაავადებების გავრცელება ქ.თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში

ბავშვთა კონტიგენტის გამოკვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა არაკარიესული დაავადებების, კერძოდ, ჰიპოპლაზიის, ფლუოროზის, ეროზიისა და სოლისებრი დეფექტის განვითარების მედიკო-ბიოლოგიური და სოციალურ-ჰიგიენური ფაქტორების დადგენა და მათი გავრცელების სიხშირის გამოვლენა ქ.თბილისის 12-15 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში. გამოკვლევის საწყის ეტაპზე გამოყენებული ანკეტა-კითხვარი მოიცავდა ზოგადი ხასიათის კითხვებს, როგორც ბავშვებისათვის, ასევე მათი მშობლებისთვის. ანამნეზური და კლინიკური დათვალირების შედეგების მონაცემების გარდა, კითხვარში საჭირო იყო შემდეგი სახის ინფორმაციის, კერძოდ, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, მონაცემები კვების რეჟიმის, მჟავე პროდუქტებისა და გაზიანი სასმელების ყოველდღიური მოხმარების, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების, ფტორირებული კბილის პასტებისა და NaF-ის ტაბლეტების მოხმარების, სტომატოლოგთან ვიზიტის სიხშირის მითითება. გარდა ამისა, ანკეტა-კითხვარში იყო კითხვები სპეცილურად განკუთვნილი ჰიპოპლაზიით დაავადებულ ბავშვთა მშობლებისთვის, რომლებიც მოიცავდნენ ინფორმაციას დედის ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობის შესახებ, ბავშვის დაბადების შემდგომ პერიოდში გადატანილი ან თანმხლები სომატური დაავადებების, ნეონატალური პერიოდის თავისებურებათა შესახებ.

მონაცემების დიფერენცირებამ მნიშვნელოვანწილად დაგვანახა არასწორი კვების რეჟიმის, ორსულობის პათოლოგიების და თანმხლები სომატური დაავადებების არახელსაყრელი გავლენა არაკარარიესული წარმოშობის დაავადებების განვითარებასა და გავრცელებაზე.

ქ.თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელმაც მოიცვა 12-დან 15 წლამდე ასაკის 1400 ბავშვი, საშუალება მოგვცა დაგვედგინა არაკარიესული დაავადებების გავრცელების სიხშირე ასაკისა და სქესის გათვალისწინებით. გამოკვლეულთაგან 667 (47.6%) იყო მამრობითი სქესის, ხოლო

733 (52.4%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. გამოკვლეულ ბავშვთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N1 და დიაგრამაში 1, 2.

ცხრილი 1. გამოკვლეული ბავშვების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

სქესი	**მამრობითი**	667	47.6%
	მდედრობითი	733	52.4%
ასაკობრივი ჯგუფი	12 წელი	1123	80.2%
	15 წელი	277	19.8%



დიაგრამა 1. გამოკვლეული ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით



დიაგრამა 2. გამოკვლეული ბავშვების განაწილება ასაკის მიხედვით

არაკარიესული დაავადებების გავრცელების ინტენსივობის გამოთვლისას აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტიდან 78.6%-ს არ აღენიშნა, ხოლო 21.4%-ს გამოუვლინდა არაკარიესული წარმოშობის დაზიანება. უმეტესი წილი დაზიანებისა მოდიოდა ჰიპოპლაზიურ კბილებზე _ 15.2%, ხოლო დანარჩენ დაავადებებზე პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: ფლუოროზი - 2.8 %, ეროზია - 2.6 % და სოლისებრი დეფექტი - 0.8 %. (დიაგრამა 3). აღნიშნული მაჩვენებლები, ჯერ კიდევ საკვლევი პოპულაციის ასეთ ადრეულ ასაკში, მეტყველებს ქვეყნის შიგნით პროფილაქტიკური ღონისძიებების არასრულფასოვან არსებობაზე, მშობელთა და ბავშვთა სამედიცინო განათლების დაბალ დონეზე და ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.



დიაგრამა 3. არაკარიესული დაავადების გავრცელება თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონინგენტში.

3.2 ჰიპოპლაზიის გავრცელება ქ.თბილისში.

განისაზღვრა არაკარიესული დაავადების, კერძოდ ჰიპოპლაზიის გავრცელება ქ.თბილისში. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ, თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ჰიპოპლაზია აღენიშნებოდა 15.2%-ს, შესაბამისად 84.8%-ში დაავადება არ დაფიქსირდა. სილბერმანის კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყო ჰიპოპლაზიის 4 ტიპი. აქედან, ტიპი I აღინიშნებოდა გამოკვლეულ ბავშვთა 7.6%-ში,(n=106), ტიპი II - 3.8%-ში(n=53), ტიპი III- 2.3%-ში(n=33) და ტიპი IV -1.5%-ში(n=22). როგორც შედეგებიდან ჩანს ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა ჰიპოპლაზიის პირველი ტიპი, რომელიც გულისხმობს ლაქოვან ფორმას და ვლინდება თეთრი, იშვიათად მოყვითალო ფერის შემოფარგლული საზღვრის მქონე ლაქებით კბილის მინანქრის ზედაპირზე (ცხრილი N2).

ცხრილი 2. ჰიპოპლაზიის გავრცელება სილბერმანის კლასიფიკაციის მიხედვით.

ჰიპოპლაზია % (ტიპი)	ტიპი I	ტიპი II	ტიპი III	ტიპი IV	არ აღინიშნება
	7.6%	3.8%	2.3%	1.5%	84.8%
ბავშვთა რაოდენობა	106	53	33	22	1186



დიაგრამა 4. ჰიპოპლაზიის გავრცელება სილბერმანის კლასიფიკაციის ტიპების მიხედვით ქ.თბილისში

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჰიპოპლაზიის გავრცელების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება გამოუვლინდა 132 ბავშვს, რაც გამოკვლეულ ბავშვთა 9.7%- წარმოადგენს. ხოლო 15წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება აღენიშნა 80 ბავშვს (5.7%) .

ჰიპოპლაზიით დაავადებულ ბავშვთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოიცავდა შემდეგ მონაცემებს: 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება აღენიშნებოდა 62%-ს (n=132), ხოლო 15 წლის ასაკში - 38%-ს (n=80) (ცხრილი N3).

ცხრილი 3. ჰიპოპლაზიის გავრცელება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

		12 წელი	15 წელი
გამოკვლეული ბავშვები (N; %)	1400	132 (9.7%)	80 (5.7%)
ჰიპოპლაზია (N; %)	212	62%	38%



დიაგრამა 5. ჰიპოპლაზიური დაზიანების მქონე ბავშვთა განაწილება ასაკის მიხედვით

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ ჰიპოპლაზია უფრო მეტადაა გავრცელებული მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში - 116 (55%), ვიდრე მამრობით სქესში - 96 (45%) (დიაგრამა 6.)



დიაგრამა 6. ჰიპოპლაზიური დაზიანების მქონე ბავშვთა განაწილება სქესის მიხედვით

იმის განსასაზღვრად, თუ რომელი კბილთა ჯგუფი იყო უფრო მგრძნობიარე ამ დაავადების მიმართ გამოიყო კბილთა შემდეგი ჯგუფები - საჭრელები, ეშვები, პრემოლარები და მოლარები. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ორივე ასაკობრივ ჯგუფში ჰიპოპლაზია ყველაზე ხშირად გვხვდება საჭრელი ჯგუფის კბილებში. 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი აღწევს 10.9%-ს, ხოლო 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგივე მაჩველებელი 13.9%-ია. საღეჭი ჯგუფიდან - მოლარები, ზემოაღნიშნული არაკარიესული დაავადების განვითარების და გავრცელების მხრივ მეორე ადგილზეა, ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისი პროცენტული გადანაწილებით 11.7% და 14.4%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰიპოპლაზიის განვითარებისა გვხვდება კბილთა პრემოლარებისა და ეშვების ჯგუფებზე, რაც პროცენტულად შემდეგნაიარადაა წარმოდგენილი- 12 წლის ასაკში 12.2% და 9.7% , 15 წლის ასაკში ეს მაჩვენებელი კი 14% და 10.7%-ს უტოლდება (დიაგრამა 7).



დიაგრამა 7. ჰიპოპლაზიის გავრცელება ასაკის მიხედვით კბილთა სხვადასხვა ჯგუფზე

3.3 ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადების გავლენა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე

კვლევის მიზანს, გარდა ჰიპოპლაზიის გავრცელების შესწავლისა, ასევე წარმოადგენდა ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებაც. აღნიშნულის მიზნით, როგორც კვლევაში მონაწილე ბავშვების, ასევე მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანების მქონე ბავშვთა მშობლების მიერ ივსებოდა ანკეტა კითხარი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას, ისეთი ცვლადების შესახებ როგორიცაა: ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული დაავადებები, ანემია. ამასთან, ნაადრევი მშობიარობის, მცირე წონიანი ბავშვის და ახალშობილობის პერიოდში ბავშვთა ინფექციური დაავადებების შესახებ.

ფაქტორული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ანკეტა-კითხვარში არსებული ისეთი ცვლადები, როგორიცაა, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიები, გაზიანი და მჟავე ხილის წვენების მიღება, კბილების გამოხევის სიხშირე და სტომატოლოგთან ვიზიტის რაოდენობა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე

არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას. ყველა შემთხვევაში სანდოობის მაჩვენებელი მეტია 0.05-ზე ($P>0.05$) (ცხრილი N4).

ცხრილი 4. ანკეტა-კითხვარში არსებული ცვლადების გავლენა ჰიპოპლაზიაზე

		ჰიპოპლაზია (H)
ენდოკრინული სისტემის დარღვევები	Chi-square	41.554
	df	3
	Sig.	.058
საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები	Chi-square	31.234
	df	3
	Sig.	.064*
ხილის წვენის მოხმარების სიხშირე	Chi-square	45.364
	df	2
	Sig.	.051*
გაზიანი სასმელის მოხმარების სიხშირე	Chi-square	24.358
	df	4
	Sig.	.053*,b,c
მჟავე პროდუქტების მოხმარების სიხშირე	Chi-square	56.410
	df	3
	Sig.	.077*,b
კბილების გამოხეხვის სიხშირე	Chi-square	5.134
	df	3
	Sig.	.162b,c
ვიზიტი სტომატოლოგთან	Chi-square	7.618
	df	1
	Sig.	.066*

მშობლების მიერ შევსებულ ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადები სტატისტიკურად დამუშავდა რეგრესიული ანალიზის მეთოდით.

მარტივი რეგრესიული ანალიზი არის პროგნოზირების მეთოდი, რომელიც იძ-ლევა ეგრეთ წოდებული „დამოკიდებული“ (შესასწავლი) ცვლადის მნიშვნელობის

შესახებ პროგნოზის გაკეთების საშუალებას მეორე, ეგრეთ წოდებული „დამოუკიდე-ბელი", ცვლადის (პრედიქტორის) მნიშვნელობის საფუძველზე. შესაბამისად, რეგრე-სიული ანალიზი ეფუძნება „დამოკიდებულ" და „დამოუკიდებელ" ცვლადებს შორის კავშირს, რაც, თავის მხრივ, იძლევა ეგრეთ წოდებული „რეგრესიის განტოლების" შედგენის საშუალებას. „რეგრესიის განტოლება" აღწერს კავშირს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის. იგულისხმება, რომ ეს კავშირი წრფივია. შესაბამისად, თუ ამ განტოლებაში ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის (რესპონდენ-ტის) დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობას ჩავსვამთ, გამოვთვლით დამოკიდე-ბული ცვლადის საპროგნოზო მნიშვნელობას ამ შემთხვევისათვის (რესპონდენ-ტისათვის).

მაგრამ რეგრესიული ანალიზის შესაძლებლობები მარტივი რეგრესიული ანალიზით არ შემოიფრგლება: ეს უკანასკნელი მხოლოდ კერძო შემთხვევაა მრავლობითი რეგრესიული ანალიზისა. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვთვალოთ დამოკიდებული (შესასწავლი) ცვლადის საპროგნოზო მნიშვნელობა არა ერთი (როგორც მარტივი რეგრესიული ანალიზის შემთხვევაში), არამედ რამდენიმე პრედიქტორის საფუძველზე, სწორედ ეს მეთოდი გამოვიყენეთ ანკეტაა-კითხვარში არსებული ცვლადების სისტემატიზაციისათვის.

რეგრესიის კოეფიციენტს შეიძლება დადებითი ან უარყოფითი ნიშანი ჰქონდეს. თუ დამოუკიდებელი ცვლადის კოეფიციენტი დადებითია, მაშინ ამ ცვლადის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე იზრდება დამოკიდებულ ცვლადის მნიშვნელობაც. უარყოფითი კოეფიციენტის შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის ზრდას მოჰყვება დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობის კლება. ჩვენ კვლევის შედეგების მიხედვით დადებითი ნიშანი აქვს შემდეგ ცვლადებს: ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული ინფექციე, ანემია, მცირე წონიანი ბავშვები და დღენაკლული ბავშვები, ახალშობილთა ინფექციური დაავადებები. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობის ზრდის შედეგად ქულაც იზრდება. შესაბამისად, რეგრესიის კოეფიციენტი იძლევა დამოკიდებულ ცვლადზე ამა თუ იმ პრედიქტორის გავლენის შეფასების საშუალებას, ოღონდ იმ პირობით, თუ ყველა პრედიქტორი ერთნაირი ურ-

თეულით არის გაზომილი. გასაგებია, რომ ამ პირობის დაცვა ძალიან რთულია. ამ პრობლემის მოსახსნელად შემოღებულია რეგრესიის კოეფიციენტი β („ბეტა“), რომლის მნიშვნელობა იცვლება -1-დან +1-მდე. ეს კოეფიციენტი ასახავს კერძო კორელაციას დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის. კერძო კორელა-ცია ნიშნავს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედებას დამოკიდებულ ცვლადზე – დანარჩენი დამოუკიდებელი ცვლადების ფიქსირებული მნიშვნელობის პირობებში. ამასთანავე, რაც უფრო მაღალია ამ დამოუკიდებელი ცვლადის კორელაცია დანარჩენ დამოუკიდებელ ცვლადებთან, მით უფრო დაბალია მისი კოე-ფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა.

ამრიგად, რეგრესიის კოეფიციენტი β დამოუკიდებელი ცვლადის გავლენის უნივერსალური საზომია, ამიტომ მას რეგრესიის სტანდარტული კოეფიციენტი ეწოდება. სწორედ სტანდარტული კოეფიციენტები იძლევა დამოუკიდებელი ცვლა-დების შედარების საშუალებას – დამოკიდებულ ცვლადზე მათი გავლენის მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი დადებითი კოეფიციენტი აქვს ორსულთა ანემიასა და ტოქსიკოზს (β=0.502 β=0.445), საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ რეგრესიული ანალიზის გამოყენებისას გამოიკვეთა უარყოფითი კოეფიციენტის არსებობაც მხოლოდ ერთ ცვლადთან. სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტის მქონე ბავშვებსა და ჰიპოპლაზიას შორის აღმოჩნდა უარყოფითი კორელაციური კავშირი(β=-.033) (ცხრილი N5).

ცხრილი 5. დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა ჰიპოპლაზიაზე

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	-.682	.606		-1.125	.261
	ჰიპოპლაზია					
	სქესი	-.080	.044	.040	1.843	.066
	ასაკი	.032	.020	.036	1.647	.100
	ორსულთა ტოქსიკოზი	1.091	.077	.445	14.088	.000
	ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული ინფექცია	.232	.075	.082	3.115	.002
	ორსულთა ანემია	.346	.093	.502	3.716	.000
	მცირეწონიანი ბავშვი	.488	.084	.173	5.794	.000
	ნაადრევი მშობიარობა (დღენაკლული ბავშვები)	.421	.086	.149	4.905	.000
	ახალშობილთა ინფექციური დაავადებები	.430	.075	.149	5.740	.000
	ხილის წვენების მოხმარება	.010	.009	.025	1.133	.258
	გაზიანი სასმელების მოხმარება	-.008	.006	.033	-1.436	.152
	ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები	-.023	.037	.014	-.607	.544
	მჟავე პროდუქტების მოხმარება	-.026	.010	.058	-2.567	.011
	ვიზიტი სტომატოლოგთან	-.066	.044	-.033	-1.488	.137
	კბილების გამოხეხ. სიხშ.	.198	.258	.017	.768	.443

ანკეტა კითხვარში არსებული მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა პრენატალური ფაქტორები, როგორიცაა ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული ინფექციები და ანემია სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰიპოპლაზიის განვითარებაზე ($p=0.001$). ჩატარებული გამოკვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, დამძიმებული ანტენატალური პერიოდით - ორსულთა ტოქსიკოზით დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა მაღალია ($n=363$). ასეთ მდგომარეობით დაბადებულ ბავშვთა 29%-ს გამოუვლინდა მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანება ($n=105$). კვლევაში ჩართულ ბავშვთა უმრავლესობაში, რომელთა დედებსაც არ აწუხებდათ ორსულობის დროს სხვადასხვა პათოლოგიები, ჰიპოპლაზიური დაზიანება გამოვლინდა 8.5%-ში. დედის მიერ ორსულობის დროს გადატანილ მწვავე და ქრონიკულ ინფექციებს ადგილი ქონდა შემთხვევათა 18%-ში, მათგან 48%-ს აღენიშნა მინანქრის არაკარიესული დაავადება, განსხვავებით საკონტროლო ჯგუფში არსებული მოსწავლეებისგან. ჯანმრთელი მშობლების მიერ გაჩენილ ბავშვებში ჰიპოპლაზიის პროცენტულმა მაჩვენებელმა მიაღწია 11%-ს. მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გავლენა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე, როგორიცაა ორსულთა ანემია. 192 გამოვლენილი შემთხვევიდან 168-ს თან ერთვოდა მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანება (88%), რაც პროცენტულად მკვეთრად აღემატება ჯანმრთელ ბავშვებში განვითარებულ ჰიპოპლაზიის რიცხვობრივ მაჩვენებელს (7.7%) (იხ. ცხრილი N6).

ანკეტა კითხვარში არსებული პოსტნატალური ფაქტორების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მცირე წონიანი ბავშვები და ბავშვები, რომლებიც სიცოცხლის პირველ თვეებში ხშირად ავადობდნენ გამოირჩეოდნენ ჰიპოპლაზიის განვითარების მაღალი ალბათობით, განსხვავებით ჯანმრთელი ბავშვებისგან ($p=0.001$) (იხ. ცხრილი N7).

ლოჯისტიკური რეგრესიული მოდელით ასევე დადასტურდა დადებითი კორელაციური კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და სხვადასხვა პრე და პოსტნატალურ ფაქტორებს შორის. კორელაცია სტატისკურად სარწმუნოა ყველა ფაქტორის შემთხვევაში ($p=0.001$) (იხ. ცხრილი N8).



დიაგრამა 8. პრენატალური ფაქტორები და ჰიპოპლაზია

ცხრილი 6. პრენატალური ფაქტორები და ჰიპოპლაზია

პრენატალური ფაქტორები	დაავადებული დედების რაოდენობა	ჰიპოპლაზია (%)
ორსულთა ტოქსიკოზი დიახ არა	363 1037	105 (29%) 87(8.5)%
	$x^2=$	p=0.001
მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებები დიახ არა	252 1148	118(48%) 90 (11%)
	$x^2=$	p=0.001
ანემია დიახ არა	192 1208	168 (88%) 75 (7.7%)
	$x^2=$	p=0.001



~

დიაგრამა 9. პოსტნატალური ფაქტორები და მინანქრის ჰიპოპლაზია

ცხრილი 7. პოსტნატალური ფაქტორები და მინანქრის ჰიპოპლაზია

პოსტნატალური ფაქტორები	პაციენტების რაოდენობა	Hypoplastic Teeth (N,%)
მცირე წონიანი ბავშვი დიახ არა	333 1067	124 (47 %) 70(7 %)
$\lambda^2=$ p=0.001		
ნაადრევი მშობიარობა დიახ არა	244 1156	121 (49 %) 68 (6.2 %)
$x^2=$ p=0.001		
ბავშვთა ინფექციები დიახ არა	453 947	172 (31 %) 40 (4.3 %)
$x^2=$ p=0.001		

ცხრილი 8. კორელაციური კავშირი პრენატალურ და პოსტნატალურ ფაქტორებსა და ჰიპოპლაზიას შორის.

ფაქტორები	R^2	P value
ორსულთა ტოქსიკოზი	0.640	0.001
მწვავე და ქრონიკული ინფექციები		0.001
ანემია		0.001
მცირე წონიანი ბავშვი		0.001
ნაადრევი მშობიარობა		0.001
ბავშვთა ინფექციები		0.001

კვლევის მიმდინარეობის დროს ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ჰიპოპლაზიით დაავადებულ ბავშვთა უმრავლესობა დაავადებული იყო ასევე კარიესითაც. აღნიშნული დაედო საფუძვლად კორელაციური კავშირის დადგენას ჰიპოპლაზიასა და კარიესს შორის. შეფასდა მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანებების მქონე ბავშვებში კარიესული დაავადებების გავრცელებაც. შედეგებმა აჩვენა, რომ კბილის კარიესი დომინირებდა იმ კბილებში, რომელზეც არსებობდა არაკარიესული წარმოშობის დეფექტი. ჰიპოპლაზიის მქონე 212 ბავშვიდან მხოლოდ 50 მათგანს არ აღენიშნა კარიესული დაავადება, მაშინ, როდესაც 112 შემთხვევაში, კბილის მინანქრის ზედაპირზე ჰიპოპლაზიური დაზიანებას თან ერთოდა კარიესული დაავადებაც. კორელაციური კავშირი ჰიპოპლაზიასა და კარიესს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა (p=0.001 r=0.09) (იხ. ცხრილი N9).



დიაგრამა 10. ჰიპოპლაზიის გავრცელება



დიაგრამა 11. კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და კბილის კარიესს შორის

ცხრილი 9. კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და კბილის კარიესს შორის

ჰიპოპლაზია (N; %)

აღინიშნება	N=212 (15.2%)	კარიესით	N=162 (76.6%)
		კარიესის გარეშე	N=50 (23.4%)
არ აღინიშნება	N=1188 (84.8%)	Pearson Correlation (r)=0.09 p=0.001	

3.4 ფლუოროზის გავრცელება ქ. თბილისში

კვლევის ამოცანების თანახმად, შესწავლილ იქნა კბილის არაკარიესული დაავადებების გავრცელება და ინტენსივობა ქ. თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტში. 12-15 წლის ასაკის მოსწავლეთა შორის მოხდა ფლუოროზული დაზიანებების აღწერა და შემდგომ შეფასება, რომელიც წარმოებდა „TSIF" ინდექსის საშუალებით. ფლუოროზის გამოკვლევის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს წყალში ფტორის მინერალური შემადგენლობა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად საკვლევი კონტიგენტის შერჩევის პრინციპს. ვინაიდან თბილისს სასმელი წყალი მიეწოდება სამი სხვადასხვა ხეობიდან, ქალაქის რაიონული განაწილებაც სასმელი წყლის მიწოდების მიხედვით შემდეგნაირია: ვაკე-საბურთალოს რაიონი მარაგდება არაგვის ხეობიდან, ისანი-სამგორის რაიონი_სამგორის ხეობიდან, ხოლო გლდანი-ნაძალადევის რაიონი_ღრმა-ღელის ხეობიდან. შესაბამისად გამოვიკვლიეთ სწორედ ეს უბნები, სადაც მოსწავლეები შემდეგი თანაფარდობით გადანაწილდნენ: ვაკე - საბურთალო - 440, ისანი - სამგორი - 476, გლდანი - ნაძალადევი - 483 (იხ. ცხრილი N10).



დიაგრამა 12. საკვლევი კონტიგენტის განაწილება

ცხრილი 10 . საკვლევი კონტიგენტის განაწილება რაიონების მიხედვით

რაიონი	ვაკე-საბურთალო	440	31.5%
	ისანი-სამგორი	476	34.0%
	გლდანი-ნაძალადევი	484	34.5%

ვინაიდან ფლუოროზის განვითარება პირდაპირ კავშირშია სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციასთან, კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის სასმელი წყლის შემადგენლობის შესწავლა, მასში ფტორის კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნით.

Georgian Water and Power(GWP)-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თბილისს სასმელი წყალი მიეწოდება სამი სხვადასხვა ხეობიდან (არაგვის, სამგორისა და ღრმა-ღელის ხეობა). თბილისის რაიონული განაწილება სასმელი წყლის მიწოდების მიხედვით შემდეგნაირია: ვაკე-საბურთალოს რაიონი მარაგდება არაგვის ხეობიდან, ისანი-სამგორის რაიონი_სამგორის ხეობიდან, ხოლო გლდანი-ნაძალადევის რაიონი_ღრმა-ღელის ხეობიდან.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სასმელ წყალში არსებული ფტორის, როგორც ფლუოროზული დაავადების გამომწვევი ერთ-ერთი ეტიოლოგიური ფაქტორის, კონცენტრაციის განსაზღვრა, შესაბამისად, ორიენტირება მოხდა მხოლოდ აღნიშნულ ელემენტზე.

GWP-ის ლაბორატორიაში სასმელი წყლის კონტროლი ხორციელდება ყოველთვიურად. ფტორის კონცენტრაციის განსაზღვრა ხდება იონური ქრომატოგრაფით_Dionex 1100, ხოლო კალციუმის კონცენტრაცია ფასდება_ატომურ ემისიური სპექტრომეტრით _ICP_OES710.

როგორც GWP-ის ლაბორატორიულმა ანალიზმა ცხადყო, 2014 წლის იანვრის თვიდან სექტემბრის თვემდე პერიოდში სამი სხვადასხვა ხეობის სასმელი წყალი ერთმანეთისგან გასხვავდებოდა ფტორის შემადგენლობით. აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად (Oneway ANOVA) დადგინდა, რომ ფტორის კონცენტრაციის მიხედვით ვაკე-საბურთალოს რაიონის სასმელი წყალი სტატისტიკურად მნიშვნელოვანად განსხვავდება (P=0,03) ისანი-სამგორისა და

გლდანი-ნაძალადევის სასმელი წყლისგან. Post Hoc Test-ის საშუალებით დადგინდა, რომ ისანი-სამგორის რაიონის სასმელ წყალსა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასმელ წყალს შორის ფტორის კონცენტრაციის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება (P=0,56), აღნიშნული დაედო საფუძვლად ფლუოროზის გავრცელების სიხშირის შესწავლას თბილისის სამ სხვადასხვა რაიონში (იხილეთ დიაგრამა 13).



დიაგრამა 13. ფტორის კონცენტრაცია თბილისის სამი სხვადასხვა რაიონის სასმელ წყალში

GWP-ის მონაცემებზე დაყრდნობით, გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებს შორის სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა დაფიქსირდა ($P<0.05$).

იმ უბანში, სადაც სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაცია იყო ყველაზე მაღალი (ვაკე-საბურთალო), დაფიქსირდა ფლუოროზის გავრცელების მაღალი მაჩველებელი (0.29%; n =4). ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელი კლებულობდა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად. კერძოდ, ისანი-სამგორის რაიონში დაავადების გავრცელება შეადგენდა 0.14%-ს (n=2) ხოლო, გლდანი-ნაძალადევის რაიონში ფლუოროზის გავრცელების სიხშირე იყო ყველაზე დაბალი 0.07%(n =1) (იხ. ცხრილი N11). ფლუოროზის რაიონთაშორისი გავრცელება შეფასდა One-way ANOVA, LSD post-hoc სტატისტიკური მეთოდების მიხედვით. მიღებულმა

შედეგებმა აჩვენა, რომ გლდანი-ნაძალადევი ვაკე-საბურთალოს უბნისგან დაავადების გავრცელების მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება (P=0.0001). მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება ასევე, ისანი-სამგორისა და ვაკე-საბურთალოს უბნებს შორის (P=0.0001). ხოლო, გლდანი-ნაძალადევსა და ისანი-სამგორს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ აღინიშნება.

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციასა და ფლუოროზს შორის სუსტი კორელაციური კავშირი არსებობს. (R^2=0.126)



დიაგრამა 14 ფლუოროზის გავრცელება რაიონების მიხედვით

ცხრილი 11. ფტორის კონცენტრაციის გავლენა ფლუოროზზე თბილისის სხვადასხვა რაიონში

რაიონი	ფტორის კონცენტრაცია	ფლუოროზი
ვაკე-საბურთალო	0.12	0.29% (R^2=0.030)
ისანი-სამგორი	0.11	0.14% (R^2=2.318)
გლდანი-ნაძალადევი	0.09	0.07%(R^2=0.002)

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ ფლუოროზის გავრცელება თბილისის მასშტაბით შეადგენდა 0.5%-ს (n=7). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ფლუოროზის გავრცელება შემდეგნაირად გადანაწილდა: 12 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში დაავადების გავრცელებამ შეადგინა 0.28% (n=4), ხოლო 15 წლის ჯგუფში 0.22% (n =3) ასაკობრივი ჯგუფებს შორის გამოვლინდა სარწმუნო სტატისტიკური სხვაობა (P<0.05) (იხილეთ დიაგრამა 15).

ფლუოროზის გავრცელება სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა დაავადების 5 შემთხვევა (0.35 %), ხოლო მამრობით სქესში დაავადების გავრცელებამ შეადგინა 0.15% (n=2).



დიაგრამა 15. ფლუოროზის გავრცელება ასაკის მიხედვით



დიაგრამა 16. ფლუოროზის გავრცელება სქესის მიხედვით

TSIF ინდექსით ფლუოროზული კბილების შეფასებისას, აღმოჩნდა, რომ გამოკვლეულ ბავშვთა უმრავლესობას მინანქრის ზედაპირის მხოლოდ ერთ მესამედზე აღენიშნებოდა თეთრი ფერის ფლუოროზული ლაქა, რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა უფრო მძიმე სახის დაზიანება, რაც მოიცავდა მინანქრის ზედაპირზე მოყვითალო-მოყავისფრო ფერის ლაქების, შემღვრეული და უსწორმასწორო ფორმის მინანქრის არსებობას.

დამატებითი ფაქტორული ანალიზით, სტატისტიკურად არასანდო კორელაციური კავშირი დაფიქსირდა ფლუოროზსა და ანკეტა-კითვარში არსებულ ისეთ ცვლადებს შორის, როგორიცაა: ხილის წვენების, გაზიანი სასმელებისა და მჟავე პროდუქტების მოხმარება, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები, კბილების გამოხეხვისა და სტომატოლოგთან ვიზიტის სიხშირე. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა არსებულ შემთხვევაში სტატისტიკური სანდოობის მაჩვენებელი მეტია 0.05-ზე ($P>0.05$) (იხ. ცხრილი N12).

ცხრილი 12 . დამატებითი ფაქტორების კავშირი ფლუოროზთან.

		ფლუოროზი
ხილის წვენების მოხმარება	Chi-square	1.274
	df	3
	Sig.	.735
გაზიანი სასმელების მოხმარება	Chi-square	.476
	df	2
	Sig.	.788
მჟავე პროდუქტების მოხმარება	Chi-square	2.577
	df	4
	Sig.	$.631^{a,b}$
ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები	Chi-square	7.508
	df	3
	Sig.	$.057^{a}$
კბილების გამოხეხვის სიხშირე	Chi-square	.934
	df	3
	Sig.	$.817^{a,b}$
ვიზიტი სტომატოლოგთან	Chi-square	.143
	df	1
	Sig.	.705

ანკეტა-კითხვარში არსებული ცვლადების რეგრესიული ანალიზით დამუშავების შედეგად, დადგინდა, რომ ფლუოროზი დადებით კორელაციურ კავშირშია ფტორის შემცველი კბილის პასტების გამოყენებას, NaF-ის ტაბლეტების მიღებასა და სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციასთან.

დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ყველაზე მაღალი რეგრესიული კოეფიციენტის მაჩვენებლით გამოირჩა NaF-ის ტაბლეტების მიღება (β =0.494,P=0.000) (იხ. ცხრილი N13)

ცხრილი 13 . რეგრესიული ანალიზი ცვლადებსა და ფლუოროზს შორის

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	.358	.080		4.491	.000
	ფტორის შემცველობა წყალში (მგ/ლ)	-2.216	.758	.067	-2.921	.004
	ფტორის შემცველი ტაბლეტი	.488	.023	.494	21.361	.000
	ფტორირებული კბილის პასტა	.052	.022	.056	2.420	.016

3.5 ეროზიის გავრცელება თბილისის მასშტაბით

ჩვენი კვლევის მიზანს, ჰიპოპლაზიისა და ფლუოროზის გავრცელებასთან ერთად, ასევე წარმოადგენდა ეროზიის გავრცელების შესწავლა და ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 1400 გამოკვლეული ბავშვიდან ეროზია აღენიშნებოდა 36 მათგანს (2.6%). 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში გამოკვლევულ იქნა 1122 მოსწავლე (80.2%), ხოლო 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში 277 მოსწავლე(19.8%). 12 წლის ბავშვთა კონტიგენტში ეროზიის

გავრცელება შეადგენდა 2%-ს (28 ბავშვი), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი 0.6%-ს (8 ბავშვი). ეროზიით დაავადებულ მოსწავლეთა უმეტესი წილი მოდიოდა 12 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (80%).

რაც შეეხება სქესის მიხედვით დაავადების გავრცელების სიხშირეს, მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: დაავადებულთა უმეტესობა იყო მდედრობითი სქესის (n=22; 63%), ხოლო მამრობით სქესში ეროზია აღენიშნა მხოლოდ 14 ბავშვს (37%).

სტატისტიკური დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ ასაკისა და სქესის მიხევით, დაავადების გავრცელების მხრივ სტტისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ დაფიქსირებულა ($p > 0.05$) (იხ. ცხრილი N14).

ცხრილი 14. ეროზიის გავრცელება ქ.თბილისის მასშტაბით სქესისა და ასაკის მიხედვით

სქესი	**მამრობითი**	14	37%
	მდედრობითი	22	63%
ასაკობრივი ჯგუფი	**12 წელი**	28	80%
	15 წელი	8	20%



დიაგრამა 17.1. ეროზიის გავრცელება ქ.თბილისის მასშტაბით სქესის მიხედვით



დიაგრამა 17.2. ეროზიის გავრცელება ქ.თბილისის მასშტაბით ასაკის მიხედვით

ჩვენს მიერ შესწავლილ სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში, ეროზიული დაზიანებები კბილთა სასისკენა და ენისკენა ზედაპირზე არ გამოვლენილა. უმეტესი წილი დაზიანებისა მოდიოდა მინანქრის ვესტიბულურ ზედაპირზე. რაც შეეხება კბილებს, ეროზის განვითარების სიხშირით გამოირჩა საჭრელებისა და ეშვების ჯგუფი, ხოლო ეროზიის მხოლოდ დაწყებითი სტადიის ფორმები შეინიშნა პრემოლარებისა და მოლარების მიდამოში. ეროზიის მქონე ბავშვთა უმეტესობას, დაზიანების კერა გამოუვლინდათ ერთ ან არაუმეტეს ორ კბილზე, სადაც მომატებულ მგრძნობელობასა და ტკივილის არ უჩიოდნენ.



დიაგრამა 18. ეროზიით დაზიანებულ კბილთა პროცენტული მაჩვენებელი

ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ეროზიის განვითარებაზე დადასტურდა რეგრესიული ანალიზის მეთოდით. აღმოჩნდა, რომ ისეთი ცვლადები, როგორიცაა მჟავე პროდუქტების, ხილის წვენებისა და გაზიანი სასმელების მოხმარება დადებით კორელაციაშია მინანქრის ეროზიულ დაზიანებასთან ($p<0.05$). ამასთან, რეგრესიის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი და მაქსიმალურად მიახლოებული 1 ნიშნულთან აღენიშნა გაზიანი სასმელების მოხმარების ცვლადს ($\beta=0.516$), შემდეგია ხილის წვენების მოხმარება($\beta=.496$) და ბოლოს მჟავე საკვების მიღება $\beta=(0.325)$. რეგრესიული ანალიზის გამოყენებისას გამოიკვეთა ასევე უარყოფითი კოეფიციენტის არსებობაც მხოლოდ ერთ ცვლადთან. კბილების რეგულარულად გამოხეხვასა და ეროზიასა შორის აღმოჩნდა უარყოფითი კორელაციური კავშირი($\beta=-.033$)(ცხრილი N15). რაც შეეხება ანკეტა კითხვარში არსებულ სხვა ფაქტორებს, მათი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენის არსებობა ეროზიის განვითარებაზე არ დაფიქსირებულა, სანდოობის კოეფიციენტი მაღალია 0.05-ზე ($p>0.05$).

ცხრილი 15. ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადების გავლენა ეროზიის განვითარებაზე

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	.358	.080		4.491	.000
	მჟავე პროდუქტები	-1.216	.074	.325	-1.421	0.018
	გაზიანი სასმელები	.234	.027	.516	2.351	0.023
	ხილის წვენები	.052	.028	.496	2.520	0.021
	კბილების რეგულარული გამოხეხვა	.123	.025	-.033	2.344	0.002

ცხრილი 16. ანკეტა-კითხვარში არსებული ცვლადების გავლენა ეროზიის განვითარებაზე

		ეროზია
ხილის წვენების მოხმარება	Chi-square	2.100
	df	3
	Sig.	.552[a]
გაზიანი სასმელების მოხმარება	Chi-square	.090
	df	2
	Sig.	.956
მჟავე პროდუქტების მოხმარება	Chi-square	6.623
	df	4
	Sig.	.157[a,b]
ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები	Chi-square	1.202
	df	3
	Sig.	.753[a,b]
ვიზიტი სტომატოლოგთან	Chi-square	.004
	df	1
	Sig.	.949
კბილების გამოხეხვის სიხშირე	Chi-square	4.129
	df	1
	Sig.	.002[a,b,*]

3.6 სოლისებრი დეფექტის გავრცელება

ჩვენს მიერ შესწავლილი არაკარიესული დაავადებებიდან, ნაკლები სიხშირით ვლინდება სოლისებური დეფექტი. 1400 გამოკვლეული ბავშვიდან იგი აღინიშნება მხოლოდ 11 მათგანში (0.8%). სქესის მიხედვით სოლსებრი დეფექტი გადანაწილდა შემდეგნაირად: დაავადების შემთხვევათა 45% მოდიოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე (n=5), ხოლო 55% მამრობითზე (n=6). რაც შეეხება ასაკს, 12 წლის ასაკობრივ კონტიგენტში მისმა გავრცელებამ შეადგინა 25%(n=3), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში-75%(n=8). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა დაავადების გავრცელების მხრივ სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არ დაფიქსირებულა ($P>0.05$) (იხ. ცხრილი N17, დიაგრამა N19.1, დიაგრამა N19.2).



დიაგრამა 19.1. სოლისებრი დეფექტის გავრცელება სქესის მიხედვით



დიაგრამა 19.2. სოლისებრი დეფექტის გავრცელება ასაკის მიხედვით

ცხრილი 17. სოლისებრი დეფექტის გავრცელება ასაკისა და სქესის მიხედვით

სქესი	მამრობითი	6	55%
	მდედრობითი	5	45%
ასაკობრივი ჯგუფი	12	3	25%
	15	8	75%

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, სოლისებრი დეფექტის განვითარების შესაძლო ეტიოლოგიურ ფაქტორებად მიჩნეულია საჭმლის მომნელებელი და ენდოკრინული სისტემის დარღვევები. თუმცა ჩვენი მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად, დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები სოლისებრი დეფექტის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა($P>0.05$) პირსონის კორელაციით ანკეტა კითხვარში ვერცერთ არსებულ ცვლდთან ვერ მოხდა კორელაციური კავშირის დადასტურება, შესაბამისად ვერ მოხერხდა რეგრესიული ანალიზის ჩატარებაც. ცალკეული ფაქტორების ზემოქმედებით სოლისებრი დეფექტის გამოვლინებისა და დაავადების არ არსებობის რიცხვობრივი მაჩვენებელი სტატისტიკურად არ განსსხვავდებოდა ერთმანეთისგან.(იხ. ცხრილი N18).

ცხრილი 18. ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადების გავლენა სოლისებრი დეფექტის განვითარებაზე

Pearson Chi-Square Tests		
		სოლისებრი დეფექტი
ხილის წვენების მოხმარება	Chi-square	.987
	df	3
	Sig.	.804[a]
გაზიანი სასმელების მოხმარება	Chi-square	.287
	df	2
	Sig.	.866
მჟავე პროდუქტის მიღება	Chi-square	.162
	df	4
	Sig.	.997[a,b]
დარღვევები ენდოკრინული სისტემის მხრივ	Chi-square	9.423
	df	3
	Sig.	.045[a,b,*]
ვიზიტი სტომატოლოგთან	Chi-square	1.213
	df	1
	Sig.	.271
ფტორის შემცველი ტაბლეტი	Chi-square	1.999
	df	1
	Sig.	.157
ფტორირებული კბილის პასტა	Chi-square	.022
	df	1
	Sig.	.882
კბილების გამოხეხვის სიხშირე	Chi-square	.079
	df	1
	Sig.	.779[a,b]

თავი 4. მიღებული შედეგების განხილვა და ანალიზი

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა არაკარიესული დაავადებების, კერძოდ, ჰიპოპლაზიის, ფლუოროზის, ეროზიისა და სოლისებრი დეფექტის განვითარების მედიკო-ბიოლოგიური და სოციალურ-ჰიგიენური ფაქტორების დადგენა და მათი გავრცელების სიხშირის გამოვლენა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს არაკარისეული დაავადებების მატების ტენდეციას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მინანქრის დაზიანება ჰიპოპლაზიის სახით ხშირია განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაში. სოციალურ - ეკონომიკური თუ სამედიცინო ფაქტორები ამ დაავადების ფორმირებაში შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (ჯმო 1986).

ჩვენ მიერ გამოკვლეული თბილისის 12-15 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტიდან 21.4%-ს აღენიშნა არაკარიესული წარმოშობის დაავადება. უმეტესი წილი დაზიანებისა კი მოდიოდა ჰიპოპლაზიურ კბილებზე _ 15.2%. აქედან, ტიპი I აღინიშნებოდა გამოკვლეულ ბავშვთა 7.6%-ში,(n=106) , ტიპი II - 3.8%-ში(n=53), ტიპი III- 2.3%-ში(n=32) და ტიპი IV -1.5%-ში(n=21). %, ხოლო დანარჩენ დაავადებებზე პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: ფლუოროზი - 2.8 %, ეროზია - 2.6 % და სოლისებრი დეფექტი - 0.8 %. როგორც შედეგებიდან ჩანს ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა ჰიპოპლაზიის პირველი ტიპი, რომელიც გულისხმობს ლაქოვან ფორმას და ვლინდება თეთრი, იშვიათად მოყვითალო ფერის შემოფარგლული საზღვრის მქონე ლაქებით კბილის მინანქრის ზედაპირზე. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებული აღმოჩნდა ჰიპოპლაზიის გავრცელების სიხშირე. 12 წლის ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფში დაავადება გამოუვლინდა 132 ბავშვს, რაც გამოკვლეულთა 9.7%- წარმოადგენს. ხოლო 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება აღენიშნა 80 ბავშვს (5.7%). შედეგების სტატისტიკურად დამუშავების შედეგად მიღებულმა შედეგებმა ცხადყო კბილის მაგარი ქსოვილების ჰიპოპლაზიური დაზიანების მეტად გავრცელება მდედრობითი

სქესის წარმომადგენლებში - 116 (55%), ვიდრე მამრობითი სქესისის ბავშვებში - 96 (45%) .

საინტერესო აღმოჩნდა ანკეტა-კითხვარში არსებული მონაცემების კავშირი ჰიპოპლაზიის განვითარებასთან. სოციალურ-ჰიგიენური რისკის ფაქტორებსა და მინანქრის ჰიპოპლაზიურ დაზიანებას შორის არ გამოიკვეთა კორელაციური კავშირის არსებობა. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ანკეტა-კითხვარში არსებული ისეთი ცვლადები, როგორიცაა, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიები, გაზიანი და მჟავე ხილის წვენების მიღება, კბილების გამოხევის სიხშირე და სტომატოლოგთან ვიზიტის რაოდენობა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას. ყველა შემთხვევაში სანდოობის მაჩვენებელი მეტია 0.05-ზე ($P>0.05$).

სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში გამოვლენილი ჰიპოპლაზიის შემთხვევათა ნაწილი კორელირებდა პრენატალურ და პოსტნატალურ ფაქტორებთან. სხვადასხვა პრენატალურმა ფაქტორებმა, როგორიცაა ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული ინფექციები და ანემია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჰიპოპლაზიის განვითარებაზე ($p=0.001$).

პოსტნატალური ფაქტორების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მცირე წონიანი, ნაადრევად დაბადებული ბავშვები და ბავშვები, რომლებიც სიცოცხლის პირველ თვეებში ხშირად ავადობდნენ გამოირჩეოდნენ ჰიპოპლაზიის განვითარების მაღალი ალბათობით, განსხვავებით ჯანმრთელი ბავშვებისაგან ($p=0.001$).

სამეცნიერო ნაშრომებში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, იმის შესახებ, რომ სხვადასხვა პრენატალური და პოსტნატალური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესული დაზიანებების განვითარებაზე, კერძოდ, ჰიპოპლაზიაზე, რასაც ადასტურებს მსოფლიო მასშტაბით აქამდე ჩატარებული კვლევის შედეგებიც. ჩვენი შედეგების მსგავსად, Mackay მისი 2005 წლის ნაშრომში მიუთითებს, მცირე წონიანი ბავშვების წინასწარგანწყობას ჰიპოპლაზიისა და შემდგომში კარიესის განვითარების მიმართ და იძლევა რეკომენდაციას მათი მუდმივი დაკვირვებისა და კონტროლის შესახებ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დაავადებების განვითარების რისკი (Mackay TD. 2005).

Seow WK-ის ნაშრომი დასტურია იმისა, რომ, ნაადრევად დაბადებულ და მცირეწონიან ბავშვთა კონტიგენტში შეინიშნება მინანქრის მაგარი ქსოვილების დაზიანებათა გამოვლენის მაღალი რიცხვობრივი მაჩვენებელი, ნორმალური წონისა და ორსულობის ფიზიოლოგიური ვადით დაბადებული ბავშვებისაგან განსხვავებით (Seow WK,1987).

ჰიპოპლაზიის გამომწვევ ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორსულთა ანემიას, რომლის დასტურია Ford-ის 2009 წლის ნაშრომში მიღებული მონაცემებიც (Ford D, et al.,2009).

ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები, როგორიცაა საშარდე გზების ინფექციები, ოტიტი და ზედა სასუნთქი გზების დაავადებები დაკავშირებულია ჰიპოპლაზიის განვითარებასთან. ჰიპოქსიის ფონზე არსებული ორსულთა ტოქსიკოზსა და კბილის მაგარი ქსოვილის ჰიპოპლაზიური დაზიანებას შორის გამოვლინდა მჭიდრო კორელაციური კავშირი (Yoshiyuki F,et al.,1981).

მხოლოდ ავტორთა მცირე ჯგუფი მიუთითებს, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი ნაადრევად დაბადებულ და მცირე წონიან ბავშვებს, ანემიასა და მინანქრის ჰიპოპლაზიას შორის (Beentjes VE, et al.,2002). 2007 წელს Franko-ს მიერ გამოქვეყნებული სტატიის მონაცემებით, არ დადასტურა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესულ დაზიანებსა და ისეთ პრენატალურ ფაქტორებს შორის, როგორიცაა მწვავე და ქრონიკული ინფექციები, სეფსისი და ანტიბიოტიკების მიღება ორსულობის მიმდინარეობის დროს (Franco K, et al.,2007).

კვლევის მიმდინარეობის დროს ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ჰიპოპლაზიით დაავადებულ ბავშვეთა უმრავლესობა დაავადებული იყო ასევე კარიესითაც. აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძვლად კორელაციური კავშირის დადგენას ჰიპოპლაზიასა და კარიესს შორის. აღნიშნული კავშირის დადასტურების მიზნით, შეფასდა მინანქრის ჰიპოპლაზიური დაზიანებების მქონე ბავშვებში კარიესული დაავადებების გავრცელებაც. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი აღმოჩნდა ის, რომ კბილის კარიესი დომინირებდა იმ კბილებში, რომელიც ასევე დაზიანებული იყო ჰიპოპლაზიით. ჰიპოპლაზიის მქონე 212 ბავშვიდან

მხოლოდ 50 მათგანს არ აღენიშნა კარიესული დაავადება, მაშინ, როდესაც 112 შემთხვევაში, კბილის მინანქრის ზედაპირზე ჰიპოპლაზიური დაზიანებას თან ერთოდა კარიესული დაავადებაც. კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და კარიესს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა ($p=0.001$ $r=0.09$).

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები გარკვეულწილად შეესაბამება წარსულში ჩატარებულ კვლევებს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ მინანქრის დეფექტები ზრდის კბილთა კარიესული დაავადების რისკს. ავსტრალიის აბორიგენელ ბავშვებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვითაც, რომელშიც ჩართული იყო 1215 სკოლის მოსწავლე, გამოვლინდა სტატისტიკურად სანდრო კორელაციური კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და კარიესულ დაავადებას შორის. გამოკვლეულთაგან 700 მოსწავლეს აღენიშნა ჰიპოპლაზიური დაზიანება. კარიესის გავრცელების მაჩვენებელი ბავშვებში, რომელთაც გააჩნდათ მინანქრის არაკარიესული წარმოშობის დეფექტი ბევრად მაღალი იყო - 269 შემთხვევა, განსხვავებით ბავშვებისგან რომელთაც ზემოაღნიშნული დაზიანება არ აღენიშნებოდათ. 515 ჰიპოპლაზიის არ მქონე ბავშვთაგან კბილის კარიესული დაავადების რიცხვობრივი მაჩვენებებელი გაუტოლდა 40-ს (L. Pascoe,et al.,1994).

ფლუოროზის გავრცელება თბილისის მასშტაბით შეადგენდა 0.5%-ს ($n=7$). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ფლუოროზის გავრცელება შემდეგნაირად გადანაწილდა: 12 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში დაავადების გავრცელებამ შეადგინა (0.28% $n=4$), ხოლო 15 წლის ჯგუფში (0.22% $n=3$). ასაკობრივი ჯგუფებს შორის გამოვლინდა სარწმუნო სტატისტიკური სხვაობა. აღმოჩნდა, რომ ფლუოროზი მეტად იყო გავრცელებული 12 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში ($P<0.05$).

ფლუოროზის გავრცელება სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა დაავადების 5 შემთხვევა (0.35%), ხოლო მამრობით სქესში დაავადების გავრცელებამ შეადგინა 0.15% ($n=2$), რამაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ მოგვცა.

დებატები სასმელ წყალში არსებული ფტორის კნცენტრაციის, კარიესსა და ფლუოროზს შორის შესაძლო კავშირის არსებობის შესახებ დაიწყო ამერიკის

შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 1930 წელს Dean-ის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით. მას შემდეგ, აღნიშნულ თემაზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა. თუმცა თანამედროვე მკვლევარების მონაცემით, გასული საუკუნის კვლევებისგან განსხვავებით, დღესდღეობით სტატისტიკურად სანდო კორელაციური კავშირი ზემოაღნიშნულ დაავადებებსა და ფლუოროზს შორის არ არის მკაფიოდ დადასტურებული (NarbutaitéJ,2007., Bao L,2007., Baskaradoss JK,2008)

ჩვენი ინტერესის საგანსაც წარმოადგენდა სწორედ სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის განსაზღვრა, როგორც ფლუოროზული დაავადების გამომწვევი ერთ-ერთი ეტიოლოგიური ფაქტორის. როგორც GWP-ის ლაბორატორიულმა ანალიზმა ცხადყო, თბილისის სამ სხვადასხვა რაიონს სასმელი წყალი მიეწოდებოდა სამი სხვადასხვა ხეობიდან ფტორის განსხვავებული შემადგენლობით. ფტორის კონცენტრაცია რაიონების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ვაკე-საბურთალო - 0.12მგ/მლ, ისანი-სამგორი-0.11მგ/მლ, გლდანი-ნაძალადევი-0.09მგ/მლ. აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად (Oneway ANOVA) დადგინდა, რომ ფტორის კონცენტრაციის მიხედვით ვაკე-საბურთალოს რაიონის სასმელი წყალი სტატისტიკურად მნიშვნელოვანად განსხვავდება (P=0,03) ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის სასმელი წყლისგან. Post Hoc Test-ის საშუალებით დადგინდა, რომ ისანი-სამგორის რაიონის სასმელ წყალსა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასმელ წყალს შორის ფტორის კონცენტრაციის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება (P=0,56). აღნიშნული დაედო საფუძვლად ფლუოროზის გავრცელების სიხშირის შესწავლას თბილისის სამ სხვადასხვა რაიონში. იმ უბანში, სადაც სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაცია იყო ყველაზე მაღალი (ვაკე-საბურთალო), დაფიქსირდა ფლუოროზის გავრცელების მაღალი მაჩველებელი (0.29%; n=4). ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელი კლებულობდა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად. კერძოდ, ისანი-სამგორის რაიონში დაავადების გავრცელება შეადგენდა 0.14%-ს (n=2) ხოლო, გლდანი-ნაძალადევის რაიონში ფლუოროზის გავრცელების სიხშირე იყო ყველაზე დაბალი 0.7% (n=1).

ჩვენი შედეგების მსგავსად, ფლუოროზით დაავადებულ ბავშვთა რიცხვი მატულობდა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად ინდოეთში, კერძოდ ჯაიპურის 12-13 წლის სკოლის მოსწავლეებშიც. სასმელ წყალში ფტორის ოპტიმალური კონცენტრაციისას (0.7-დან 1.2მგ/ლ-მდე) მინანქრის არაკარიესული დაზიანების პროცენტული მაჩვენებელი გაუტოლდა 7%-ს. ხოლო ფტორის ოპტიმალური (<0.7მგ/ლ) და მაქსიმალური (>1.2მგ/ლ) კონცენტრაციისას ფლუოროზით დაავადებულ ბავშვთა რაოდენობა გადანაწილდა შემდეგნაირად- 4.7% და 44.84% (Solanki J, Jyothi D,2011).

დადებითი კორელაცია დააფიქსირა ფლუოროზის გავრცელებასა და სასმელ წყალში არსებულ ფტორის კონცენტრაციას შორის Kumar-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით (Kumar K,2013). ინდოეთში, ჰარიანას ორ რაიონში დაფიქსირდა ფლუოროზით დააზიანებული კბილების მქონე ბავშვთა რაოდენობის ზრდა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მატებასთან ერთდ (Charu M. M, Ashokkumar B.R. 2012).

აღმოჩნდა, რომ რუსეთში მსგავსად ჩვენი დედაქალაქისა ფლუოროზის გავრცელების დონე საკმაოდ დაბალია, რასაც მოწმობს Федоров-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც ფლუოროზის პროცენტული მაჩვენებელი არ აჭარბებს 1%-ს.(Федоров Ю.А.1996)

განსხვავებით ჩვენი კვლევის შედეგებისგან, კანადაში, ტროის-რივიერას შტატის იმ რეგიონში, სადაც ფტორის რაოდენობა სასმელ წყალში ნაკლები იყო 0.1მგ/ლ-ზე ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელმა 11-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია 31%-ს (Ismail A.I., et al.1990). მსგავსი შედეგები აღინიშნა ინდოეთში სკოლის მოსწავლეთა 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფებშიც. სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის მაჩვენებლების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი) შერჩეულ 4 უბანში მიღებული შედეგები კი ასე გამოიყურებოდა: სასმელ წყალში ფტორის დაბალი მაჩვენებლის მქონე უბანში ბავშვთა 17.6%-ს აღმოაჩნდა ფლუოროზი. ფტორის საშუალო მაჩვენებლის მქონე უბანში ფლუოროზის გავრცელების დონე 32.4%-ს აღწევდა, ხოლო ფტორის მაღალი კონცენტრაციის

მაჩვენებლის მქონე უნბეზში პროცენტული მაჩვენებლები აჭარბებდა 54.8%-სა და 60.5%-ს.(JR Sukhabogi.,et al.2014)

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი ნაშრომები, რომელთა ავტორებიც არ ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მათი კვლევებით ადასტურებენ, რომ ფტორის იონებს და მათ კონცენტრაციას არ შეუძლია ფლუოროზის გამოწვევა და ასევე არ გააჩნიათ კარიესრეზისტენტული ეფექტი (Grobleri SR,et al.,2001).

მიუხედავად იმისა, რომ სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაცია დაბალია საქართველოს დედაქალაქში, ფლუოროზის გავრცელება მაინც საკმაოდ მაღალია. დაავადების შემთხვევათა მაღალი გამოვლენის მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ დღესდღეობით ფტორის შემცველი სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებების გამოყენება საკმაოდ ხელმისაწვდომია, პედიატრებისა და ბავშვთა სტომატოლოგების მიერ კარიესის პრევენციის მიზნით ხშირად ინიშნება დამატებით ფტორი, რომლის მიწოდება ბავშვებისთვის ხდება მისი შემცველი აბების, სუსპენზიისა და კბილის პასტების სახით. აღნიშნული დადასტურდა ჩვენს მიერ გამოყენებული ანკეტა-კითხვარის მონაცემების სტატისტიკურად დამუშავებისას.

დადგინდა, რომ ფლუოროზის განვითარება სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფტორის შემცველი კბილის პასტების გამოყენებასა (P=0.001) და NaF-ის ტაბლეტების მიღებასთან (P=0.001). ანკეტა-კითხვარში არსებული ცვლადების რეგრესიული ანალიზით დამუშავების შედეგად, დადგინდა, რომ ფლუოროზი დადებით კორელაციურ კავშირშია ფტორის შემცველი კბილის პასტების გამოყენებასა და სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციასთან, განსხვავებით NaF-ის ტაბლეტების მიღებისგან, რომელთანაც დაფიქსირდა უარყოფითი კორელაციური კავშირი. რეგრესიის კოეფიციენტის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გაუტოლდა (β=0.494)-ს. დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ყველაზე მაღალი რეგრესიული კოეფიციენტის მაჩვენებლით გამოირჩა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაცია (β =0.067,P=0.004)

ეროზიული დაზიანებების შესწავლისა და ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების შედეგად გამოვლინდა დაავადების გავრცელების დაბალი

მაჩვენებელი ქ. თბილისის მასშტაბით. 1400 გამოკვლეული ბავშვიდან ეროზია გამოუვლინდა მხოლოდ 36 მათგანს (2.6%). ასაკის მომატებასთან ერთად ეროზიის მაჩვენებელი მცირდებოდა. 12 წლის ბავშვთა კონტიგენტში მისმა გავრცელებამ შეადგენდა 2% (28 ბავშვი), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი 0.6%-ს (8 ბავშვი). ეროზიით დაავადებულ მოსწავლეთა უმეტესი წილი მოდიოდა 12 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (80%). დაავადებულთა უმეტესობა იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (n=22; 63%), ხოლო მამრობით სქესში ეროზია აღენიშნა მხოლოდ 14 ბავშვს (37%).

ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ეროზიის განვითარებაზე დადასტურდა რეგრესიული ანალიზით. აღმოჩნდა, რომ ისეთი ცვლადები, როგორიცაა მჟავე პროდუქტების, ხილის წვენებისა და გაზიანი სასმელების მოხმარება დადებით კორელაციაშია მინანქრის ეროზიულ დაზიანებასთან ($p<0.05$). ამასთან, რეგრესიის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი და მაქსიმალურად მიახლოებული 1 ნიშნულთან აღენიშნა გაზიანი სასმელების მოხმარების ცვლადს ($\beta=0.516$), შემდეგია ხილის წვენების მოხმარება($\beta=0.496$) და ბოლოს მჟავე საკვების მიღება $\beta=(0.325)$. რეგრესიული ანალიზის გამოყენებისას გამოიკვეთა ასევე უარყოფითი კოეფიციენტის არსებობაც მხოლოდ ერთ ცვლადთან. კბილების რეგულარულად გამოხეხვასა და ეროზიასა შორის აღმოჩნდა უარყოფითი კორელაციური კავშირი ($\beta=-0.033$). რაც შეეხება ანკეტა კითხვარში არსებულ სხვა ფაქტორებს, მათი სტატისტიკუად მნიშვნელოვანი გავლენის არსებობა ეროზიის განვითარებაზე არ დაფიქსირებულა.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მჟავე ხილის წვენებისა და გაზიანი სასმელების მოხმარების ზრდასთან ერთად იმატა კბილის მაგარი ქსოვილების ეროზიული დაზიანებების რიცხვმა (Zero, 1996). ეროზიის გამომწვევ ეტიოლოგიურ ფაქტორებად მოიაზრება ყველა სახის მჟავე პროდუქტი, რომელიც გაჯერებულია დაბალი ფოსფატითა და კალციუმით. მინანქრის სტრუქტურის ქიმიური რღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სახის დეფექტი, როგორიცაა მინაქრის ეროზია და კარიესული დაზიანება. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მჟავა პროდუქტების ქიმიურ ზემოქმედებას. როგორც

ლიტერატურიდანაა ცნობილი, კარიესული დაავადება ვითარდება ნახშირწყლების დაშლის შედეგად წარმოქმნილი მჟავამაპროდუქცირებელი ბაქტერიის ზემოქმედების შედეგად, მაშინ, როდესაც ეროზია წარმოიქმნება მინანქარზე ნებისმიერი სახის მჟავა პროდუქტების ქიმიური ზემოქმედების შედეგად (Imfeld, 1996).

Larsen-ის კვლევით დადგინდა, რომ ეროზიის რიცხვობრივი მაჩვენებლის შემცირება პირდაპირ კავშირში იყო ხილის წვენებში მჟავიანობის დონის (pH) შემცირებასთან (Larsen). Grenby-ის მონაცემების მიხედვით, ეროზია განუვითარდათ პირებს, რომლებიც სისტემატიური რეჟიმით ყოველკვირეულად მოიხმარდნენ დაახლოებით 1.5 ლ რაოდენობის მჟავე ხილის წვენებს (Grenby, 1996).

მრავალმა კვლევამ დაამტკიცა, კბილის მაგარი ქსოვილების ეროზიის განვითარებასა და ხილის წვენების მიღების მეთოდს შორის კავშრის არსებობა. პირის ღრუში სასმლის დიდი ხნით დაყოვნებისას იზრდება მჟავიანობის (pH) - ის დონე და შესაბამისად მატულობს დაავადების განვითარების ალბათობაც (Johansson et al., 2004). მზარდი ნაკადის სიჩქარით ხილის წვენების მიღებისას და მცირე დიამეტრიანი ე.წ ,,საწრუპის'' გამოყენებისას იზრდება ეროზიული დაზიანებების სიღრმე (Shellis et al., 2005). ეფექტი მეტად ძლიერდება და შესაბამისად იზრდება დეფექტის სიღრმეც მჟავა პროდუქტების ტემპერატურული ცვლილებისას (Eisenburger and Addy,2003).

ეროზიის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ბრაზილიის ქალაქ დიადემაში მიღებული კვლევის შედეგებით, ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფში დაავადების მაჩველებელი გაუტოლდა 51.6%-ს (Christiana Murakami et al., 2015).

რადგან ჩვენ კვლევაში ჩართული იყვნენ მხოლოდ სკოლის ასაკის მოსწავლეები, ანკეტა-კითხარში ეროზიის განვითარების ეტიოლოგიურ ფაქტორებად არ გაგვითვალისწინებია ისეთი მონაცემების ჩართვა, როგორიცაა ნევროზული აშლილობა, ბულემია, კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა პათოლოგიიდან გამომდინარე მჟავე პროდუქტის რეგურგიტაცია და ჰიპოსალივაცია. რაც შეიძლება გათვალისწინებული იქნას მომავალში უფროსი ასაკის მოსახლეობის გამოკვლევისას პირის ღრუს

სხვადასხვა პათოლოგიების გამოვლენისა და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის.

ბოლოს, უალკოჰოლო სასმელების გადაჭარბებულ მიღებას შეიძლება მოყვება მძიმე შედეგები პირის ღრუში, რაც ვლინება კბილის მაგარი ქსოვილების ეროზული და კარიესული დაზიანებით. მიუხედავად მათი სხვადასხვა ჰისტოლოგიური წარმოშობის ბუნებისა, პირის ღრუში ორივე მათგანის ერთდროულ მანიფესტირებას შეუძლია კბილის ქსოვილების მძიმე დესტრუქციული ცვლილებების გამოწვევა. აუცილებელია პაციენტებს გაფრთხილება გადაჭარბებული გამაგრილებელი სასმელების მოხმარების მავნე ზემოქმედების შესახებ. დაავადებების განვითარების თავიდან აცილების მიზნით კი მათ უნდა მიეცეთ შესაბამისი რჩევა-დარიგებები და ინფორმირებულები იყვნენ: გამაგრილებელი სასმელების შეზღუდული რაოდენობით მიღების, დაბალი მჟავიანობის სასმელების გამოყენების, პირის ღრუს ჰიგიენის დაცვის, კბილების დღეში ორჯერ გამოხეხვის აუცილებლობის და ფტორირებული ან მარემინერალიზირებელი კბილის პასტების გამოყენების შესახებ.

ჩვენს მიერ შესწავლილი არაკარიესული დაავადებებიდან, ნაკლები გავრცელების სიხშირით გამოლინდა სოლისებური დეფექტი. 1400 გამოკვლეული ბავშვიდან დაავადება გამოუვლინდა მხოლოდ 11 მათგანს (0.8%). რაც შეეხება სქესის მიხედვით სოლისებრი დეფექტის გავრცელებას, დაავადების შემთხვევათა 45% მოდიოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე (n=5), ხოლო 55% მამრობითზე (n=6), რაც სტატისტიკურად სანდო განსხვავებას არ გვაძლევს.

12 წლის ასაკობრივ კონტიგენტში მისმა გავრცელებამ შეადგინა 25%(n=3), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი -75% (n=8). ეროზიისგან განსხვავებით, სოლისებური დეფექტის გამოვლენის შემთხვევები ასაკთან ერთად გაიზარდა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, სოლისებრი დეფექტის განვითარების შესაძლო ეტიოლოგიურ ფაქტორებად მიჩნეულია საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და ენდოკრინული სისტემის დარღვევები. აღნიშნული საფუძვლად დაედო ანკეტა-კითხვარში შესაძლო ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებას. ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად კი დადგინდა, რომ

ზემოაღნიშნული ფაქტორები სოლისებრი დეფექტის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა($P>0.05$).

ისევე როგორც ჩვენთან, ასევე რუსეთის აღმოსავლეთ რეგიონში შეინიშნა ეროზიისა და სოლიესბრი დეფექტის გავრცელების დაბალი პროცენტული მაჩვენებლები. გამოკვლეულთა მხოლოდ 3% აღმოაჩნდა ეროზიული დაზიანება და 1% -ს სოლისებრი დეფექტი (Агапова Т.А.1992).

სოლისებრ დეფექტს, ისევე როგორც სხვა არაკარიესული წარმოშობის დაავადებებს აქვს მულტიფაქტორული ეტიოლოგიური გენეზი. ამ ფაქტორთა კომბინაციამ შეიძლება გამოიწვიოს სოლისებრი დეფექტის სხვადასხვა კლინიკური გამოვლინება. სწორი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის დასაგეგმად მნიშვნელოვანია ეტიოლოგიური ფაქტორის სწორი იდენტიფიცირება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არ არსებობს მკურნალობის რაიმე მკაცრად განსაზღვრული სქემა საიმედო შედეგის მისაღწევად.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ არაკარიესული დაავადებების გავრცელების არც თუ ისე დაბალი მაჩვენებლები თბილისის პოპულაციაში განპირობებული უნდა იყოს არა მარტო არადამაკმაყოფილებელი პირის ღრუს ჰიგიენით, არასწორი კვების რეჟიმითა თუ თანმხლები დაავადებებით, არამედ ასევე დაბალი ზოგადი სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონითა და ინფორმაციის სიმწირით.

თავი 5. დასკვნები და რეკომენდაციები

5.1 დასკვნები

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ, თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ჰიპოპლაზია აღენიშნებოდა 15.2%-ს, შესაბამისად 84.8%-ში დაავადება არ დაფიქსირებულა. სილბერმანის კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყო ჰიპოპლაზიის 4 ტიპი. აქედან, ტიპი I აღინიშნებოდა გამოკვლეულ ბავშვთა 7.6%-ში,(n=106) , ტიპი II - 3.8%-ში(n=53), ტიპი III- 2.3%-ში(n=33) და ტიპი IV -1.5%-ში (n=22). 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება გამოუვლინდა 132 ბავშვს, რაც გამოკვლეულ ბავშვთა 9.7%-წარმოადგენს. ხოლო 15წლის ასაკობრივ ჯგუფში დაავადება აღენიშნა 80 ბავშვს (5.7%). ჰიპოპლაზია მეტად გავრცელებული აღმოჩნდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში - 116 (55%), ვიდრე მამრობით სქესში - 96 (45%)

შედეგების მიხედვით, სხვადასხვა პრენატალური ფაქტორები, როგორიცაა ორსულთა ტოქსიკოზი, ორსულობის დროს გადატანილი მწვავე და ქრონიკული ინფექციები და ანემია სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰიპოპლაზიის განვითარებაზე ($p=0.001$).

პოსტნატალური ფაქტორების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მცირე წონიანი და ნაადრევი მშობიარობისას გაჩენილი ბავშვებიი და ბავშვები, რომლებიც სიცოცხლის პირველ თვეებში ხშირად ავადობდნენ გამოირჩეოდნენ ჰიპოპლაზიის განვითარების მაღალი ალბათობით, ჯანმრთელი ბავშვებისაგან განსხვავებით ($p=0.001$).

აღმოჩნდა, რომ კბილის კარიესული დაავადება დომინირებდა უფრო მეტად იმ კბილებში, რომლებიც დაზიანებული იყვნენ ჰიპოპლაზიით. კავშირი მინანქრის ჰიპოპლაზიასა და კარიესს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა ($p=0.001$ $r=0.09$).

ფლუოროზის გავრცელებამ თბილისის მასშტაბით შეადგინა 0.5%-ს .

12 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში დაავადების გავრცელება 0.28%-ია (n=4), ხოლო 15 წლის ჯგუფში 0.22% (n=3) ასაკობრივი ჯგუფებს შორის გამოვლინდა სარწმუნო სტატისტიკური სხვაობა ($P<0.05$). ფლუოროზის გავრცელება სქესის

მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა დაავადების 5 შემთხვევა (0.35 %), ხოლო მამრობით სქესში დაავადების გავრცელებამ შეადგინა 0.15% (n=2).

ანკეტა-კითხვარში არსებული ცვლადების სტატისტიკურად დამუშავების შედეგად, დადგინდა, რომ ფლუოროზი სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფტორის შემცველი კბილის პასტების გამოყენებასა (P=0.001) და NaF-ის ტაბლეტების მიღებასთან (P=0.001).

იმ უბანში, სადაც სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაცია იყო ყველაზე მაღალი (ვაკე-საბურთალო), დაფიქსირდა ფლუოროზის გავრცელების მაღალი მაჩველებელი 0.29%. ფლუოროზის გავრცელების მაჩვენებელი კლებულობდა სასმელ წყალში ფტორის კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად. კერძოდ, ისანი-სამგორის რაიონში დაავადების გავრცელება შეადგენდა 0.14%-ს. ხოლო, გლდანი-ნაძალადევის რაიონში ფლუოროზის გავრცელების სიხშირე იყო ყველაზე დაბალი 0.07%.

1400 გამოკვლეული ბავშვიდან ეროზია აღენიშნებოდა მხოლოდ 36 მათგანს (2.6%). 12 წლის ბავშვთა ასაკის კონტიგენტში ეროზიის გავრცელება შეადგენდა 2%-ს (28 ბავშვი), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი 0.6%-ს (8 ბავშვი). ეროზიით დაავადებულ მოსწავლეთა უმეტესი წილი მოდიოდა 12 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (80%). დაავადებულთა უმეტესობა იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (n=22; 63%), ხოლო მამრობით სქესში ეროზია აღენიშნა მხოლოდ 14 ბავშვს (37%). ანკეტა კითხვარში არსებული ცვლადებიდან ეროზიის განვითარებაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მხოლოდ ორმა, მჟავე პროდუქტებისა და გაზიანი სასმელების მოხმარებამ ($p<0.05$).

ჩვენს მიერ შესწავლილი არაკარიესული დაავადებებიდან, ნაკლები სიხშირით ვლინდება სოლისებური დეფექტი. 1400 გამოკვლეული ბავშვიდან იგი აღინიშნება მხოლოდ 11 მათგანში (0.8%).

დაავადების შემთხვევათა 45% მოდიოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე (n=5), ხოლო 55% მამრობითზე (n=6).

რაც შეეხება ასაკს, 12 წლის ასაკობრივ კონტიგენტში მისმა გავრცელებამ შეადგინა 25% (n=3), 15 წლის ასაკობრივ ჯგუფში- 75%(n= 8).

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, სოლისებრი დეფექტის განვითარების შესაძლო ეტიოლოგიურ ფაქტორებად მიჩნეულია საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და ენდოკრინული სისტემის დარღვევები. აღნიშნული საფუძვლად დაედო ანკეტა-კითხვარში შესაძლო ეტიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებას. მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად, დადგინდა, რომ ჩვენი კვლევის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფაქტორები სოლისებრი დეფექტის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა ($P>0.05$)

5.2 პრაქტიკული რეკომენდაციები

არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა გავრცელებისა და სიხშირის, მათი რისკ–ფაქტორების აღწერა საშუალებას გვაძლევს მივაწოდოთ რეკომენდაციები სტომატოლოგებსა და შეიმუშავონ პრევენციული ღონისძიებების სტრატეგია, დანერგოს პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მასში მოსახლეობის , განსაკუთრებით კი ბავშვთა ასაკის კონტიგენტის მაქსიმალურ ჩართულობას .

აუცილებელია ჩატარდეს სკოლის მოსწავლეთა პროფილაქტიკური დათვალიერება არაკარიესული დაავადებების,კერძოდ, ჰიპოპლაზიის, ფლუოროზის, ეროზიისა და სოლისებური დეფექტის დროული გამოვლინების და მათი ადრეულ ეტაპზე მკურნალობისათვის.

რეკომენდირებულია საკვებ რაციონში დიდი რაოდენობით ხილისა და ბოსტნეულის გამოყენება, საღეჭი აპარატის დატვირთვა უხეში საკვებით, რაც იწვევს კბილების თვითწმენდას და ყბა-კბილთა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. კბილის მაგარი ქსოვილების სტრუქტურული რეზისტენტობის გაძლიერების მიზნით, რეკომენდირებულია ადგილობრივი რემინერალიზაციური თერაპიის ჩატარება სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით: ფტორლაქი, სამკურნალო-პროფილაქტიკური კბილის პასტები, სამინერალიზაციო ხსნარების ელექტროფორეზი. სასმელ წყალში ფტორის დაბალი კონცენტრაციის მქონე რაიონის ბავშვთა მოსახლეობისთვის ფტორის მიწოდება ფტორის შემცველი საკვები პროდუქტების, ფტორირებული პასტების, სავლებების და აბების საშალებით.

როგორც აღვნიშნეთ, სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდიდან არის შესაძლებელი, როდესაც იწყება დროებითი და მუდმივი კბილების ფორმირება და მინერალიზაცია, მნიშვნელოვანია ორსულებში სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციის პროპაგანდა სპეციალური საგანმანათლებლო პროექტების შექმნით და მათში მომავალი დედების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით, რათა ორსულმა ქალებმა მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს ზოგადი დაავადებების, როგორც მწვავე ასევე ქრონიკულის არსებობა მათი პატარას ჯანმრთელობას და ზრდიდეს კბილის მაგარი ქსოვილების, კერძოდ, ჰიპოპლაზიური დაავადების განვითარების რისკს. ასეთი პროგრამების განხორციელება შესაძლებელია როგორც ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ქალთა კონსულტაციებში. მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მათი მშობლების პრევენციულ ღონისძიებებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება და მისი აქტიური დანერგვა სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელების შემცირებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსში. შესწავლილ რისკ-ფაქტორთა გათვალისწინებით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დანერგვა და შემდგომში არაკარიესულ დაავადებათა პროფილაქტიკის გაიდლაინების შემუშავება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:

კვლევის შედეგად დადგინდა თბილისის ბავშვთა მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსი, გამოიკვეთა კორელაციური კავშირი სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის სტომატოლოგიურ სტატუსსა და რისკ–ფაქტორებს შორის, რისკ–ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე შემუშავდა დიფერენცირებული პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ეპიდემიოლოგების, ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგებისათვის. მათ მიეცემათ საშუალება მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დაგეგმონ და განახორციელონ სამკურნალო პროფილაქტიკური პროგრამები სხვადასხვა კუთხით.

აღნიშნული უზრუნველყოფს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას დაავადებათა შემცირების მიზნით, რათა მინიმუმადე დაიყვანონ გაზიანი სასმელების, მჟავე პროდუქტებისა და მჟავე ხილის წვენების მოხმარება, დიდი ყურადღება დაუთმონ ფტორის აბებისა და ფტორირებული კბილის პასტების მიზნობრივ მოხმარებას, პირის ღრუს ჰიგიენასა და ჰიგიენური უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას. სპეციალისტებს მიეცემათ საშუალება შექმნან ისეთი პროგრამები, რომლებიც გააძლიერებს მოსახლეობის პირის ღრუს დაავადებათა კონტროლს; სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის საფუძველზე შეაფასებენ კბილების ფლუოროზით დაზიანების ხარისხს; შეიმუშავებენ და დანერგავენ პრევენციულ ღონისძიებებს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელთაც მიეწოდებათ ფტორის განსაკუთრებით დაბალი კონცენტრაციის სასმელი წყალი.

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს საშუალება მიეცემათ განახორციელონ პროექტები სტომატოლოგიურ დაავადებათა აღწერისა და კონტროლისათვის, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამედიცინო და სტომატოლოგიური ცოდნის დონის ამაღლებას. ორსულობისა და ახალშობილობის პერიოდში არსებულ რისკ-ფაქტორთა შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება შეფასდეს კბილთა ჰიპოპლაზიური დაზიანების გამოვლენისა და განვითარების ხარისხი, დაიგეგმოს და შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები, მასში მეან-გინეკოლოგებისა და სტომატოლოგების ერთობლივი ჩართულობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორსულობისა და ახალშობილობის პერიოდში არსებული გართულებები. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ჰიპოპლაზიით დაავადებული კბილების მქონე ბავშვებში პრევენციული ღონისძიებების დანერგვას შემდგომში კარიესის განვითარების თავიდან აცილების მიზნით. შესაძლებელი გახდება არაკარიესული დაზიანებების პროფილაქტიკა ბავშვების ადრეული ასაკიდანვე და უკვე განვითარებული დაავადებების დროული და ეფექტური მკურნალობა.

პუბლიკაციები:

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სტატია:

1. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, თბილისი, 2015წ. ,,არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა შესაძლო კავშირი ორგანიზმის სისტემური დაავადებებთან"

2. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა,თბილისი, 2016წ. ,,სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციის გავლენა ფლუოროზის განვითარებაზე თბილისის სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტში''

3. European scientific journal, 2017 ,,Association between Enamel Hypoplasia and Dental Caries in Different Medical Conditions''

4 . European scientific journal, 2017 „Water Fluoride Levels and Related Factors in the Etiology of Dental Caries and Fluorosis''

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:

დისერტაცია მოიცავს 113 გვერდს, 3 რუკას, 18 ცხრილსა და 21 დიაგრამას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოროვსკი ე.ვ, ბაშკირევა ი.დ, მაქსიმოვკი ი.მ და სხვა; “თერაპიული სტომატოლოგია“, პროფესორ ე.ვ. ბოროვსკის რედაქციით-მე-2 გამოცემა, 2001წელი.
2. გოგილაშვილი ქ.თ ‘სტომატოლოგიური სტატუსის შესწავლა სეფსისით დაავადებულ და სეფსისგადატანილ ბავშვებში’, ავტორეფერატი, 1993.
3. კალანდაძე მ. ‘სტომატოლოგიური სტატუსის შესწავლა ენდემური ჩიყვით დაავადებულ ბავშვებში’ ავტორეფერატი, 2003.
4. ყიფიანი გ. ‘ქრონიკული ტონზილოპათიების როლი კბილის კარიესის პათოგენეზში’, დისერტაცია, 2003.
5. სულაძე ნ.- ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების გავლენა კბილის მაგარი ქსოვილების მინერალიზაციაზე; 2015.
6. ყიფინი გ.- კლინიკა და მკურნალობა კბილის კარიესის სხვადასხვა აქტივობის ხარისხის დროს ქ.თბილისის 8-10 წლის მოსწავლეებში; 1983
7. ყიფიანი გ. ‘კბილის კარიესის კლინიკა და მკურნალობა კარიესის აქტივობის სხვადასხვა ხარისხის დროს ქ. თბილისის ბავშვებში’ ავტორეფერატი, 1989.
8. შიშნიაშვილი თ.-ბავშვთა ასაკის თერაპიული სტომატლოგია. 2004.
9. შიშნიაშვილით.-საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებების სიტუაციური ანალიზი და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ორგანიზაცია// ავტორეფ.მედ.მეცნ.კანდ.-თბილისი 1998წ.
10. ჯაფიაშვილი ე. კარიესის და ჰიპოპლაზიის განვითარების სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალურ-ჰიგიენური რისკის ფაქტორები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა. 2005
11. Агапов Н.И. “Симптоматические значения аномалий зубной системы.” Медгиз. 1929 с.139
12. Алексеев В.А. Брозголь А.М. “патологическое стирание зубов.” М.Медицина. 1970; С.23

13. Белова Н.А. Состояние молочных зубов и прикуса у недоношенных детей. Автореферат. Дис...канд.мед.наук. Пурмь.1981. с.16
14. Вайс С.И. “Терапевтическая стоматология.” М.Медицина. 1965; с.299
15. Виноградова Т.Ф. “Стоматология детского возраста.” Медицина.1987
16. Виноградова Т.Ф.” Задачи стоматолога и педиатра в профилактике и лечении стоматологических заболеваний у детей дошкольного возраста.”Методические рекомендации.1981; с.1-23.
17. Виноградова Т.Ф.” Задачи стоматолога и педиатра в профилактике и лечении стоматологических заболеваний у детей дошкольного возраста.”Методические рекомендации.1981; с.1-23.
18. Гришков М.И. “Некариозние зоражения тканей зуба.” Медицина.1985;с.171
19. Дрожжина В.А.-Естественные биологически активные вещества в профилактике и лечении заболевания зубов и пародонта. Автореф.дис...канд.мед.наук.-Л., 1995. -с.33.
20. Дякова С.В.” Некоторые вопросы патогенеза гипоплазии эмали зубов.” Автореф.дис....канд.мед.наук.1965.с.19 железы (эутиреодный зоб и диффузный токсический зоб). Автореф. дис...канд.мед.наук-М., 1982- с.18
21. Каснбина А.Ф.,Алюкова В.В., Чернова Г.Н. “Распарастраненность кариеса зубов у детей дощколного возраста в зависимости от характера течения беременности у матерей.” Акт.вопр.Стоматологии. 1979. Т128. с.130-133.
22. Кобелева В.И. “Распрастраненность некоторых некариозных поражении зубов у взрослово городского населения.” Основние стоматологическте заболевания. 1981; с70-72.
23. Корчагина В.В., Дьякова С.В. “Гипоплазия зубов у детей с сочетанными врожденными и наследственными пороками развития ЦНС и опорнодвигатеьново аппарата.”Стоматология.1997. N4 с.60-64
24. Лауранд В.М. – Поражения твердых тканей зуба при патологии шитовидной
25. Максимовский Ю.М. “Паражение твердых тканей зубов при гипер и гипофункции шитовиднкотореой железы, их профилактика и лечение.” Автореф. дис...док.мед.наук.1980; с.39.

26. Малков В.Т.” Связь между аномалиями зубочелюстной системы с заболеваниями центральной нерой системы и потологией беременности и родов у матерей.” Конф.Врачей акуш. Гинекол. И педиатров “Здоровый ребенок.”1972 с.70-77
27. Новик И.О.-Болезни зубов и слизистой оболочки полости рта у детей.2-е изд.,Перераб. И доп. Медицина, 1971.с.455
28. Патрикеев В.К . “Лечение гиперестезии дентина коамидом.” Стоматология.1968 N2.с 94-96.
29. Ремизов С.М. Пружанский Л.Ю.-Зависимость истирания дентита зубов человека от их микротвердости. Стоматология.-1989, N2. с.6-7.
30. Самодин В.И. Состояние зубов и пародонта у сельского населения с учетом общего состояния и географических условий местности. Дис....канд.мед.наук. Одесса. 1970.с.21
31. Смоленцева Н.В.” Клиника и лечение зубов,пораженных гипоплазией эмали.” Сб.научн.тр.Казан.мед.ин-та. Казань.1981.т.56. с.76-78
32. Федоров Ю.А. Дрожжина В.А. Чернобылская П.М. Рубежова Н.В.-Особенности диагностики и новые принципы лечения некариозных поражений зубов. Новое в Стоматогии.-1996.- N3. - с.10-12
33. Чернобыльская П.М. Федоров Ю.А. Рубежова Н.В - Особенности лечения некариозных поражений зубов . Морфофункц. и клин.аспекты проблем стоматологии.-Донецк, 1993. Часть 2.-с.59
34. Aldred M.J, Crawford P.J. ‘molecular biology of hereditary enamel defects.’ Ciba Found Symp 1997;[online] 205:200-205
35. Al-Majed I, Maguire A, Murray JJ. Risk factors for dental erosion in 5–6 year old and 12–14 year old boys in Saudi Arabia. Community Dent Oral Epidemiol 2002; 30:38–46.
36. Al-Malik MI, Holt R, Bedi R: The relationship between erosion, caries and rampant caries and dietary habits in preschool children in Saudi Arabia. Int J Paediatr Dent 2001;11: 430–439.
37. Angelillo IF1, Anfosso R, Nobile CG, Pavia M. ‘Prevalence of dental caries in

38. Akpata E, Fakiha Z, Khan A, Dental fluorosis in 12–15-year-old rural children exposed to fluorides from well drinking water in the Hail region of Saudi Arabia.Community Dentistry and Oral Epidemiology; Volume 25, Issue 4, pages 324–327; 2006.
39. Arif M, Husain I, Hussain J, Kumar S,Assessment of fluoride level in groundwater and prevalence of dental fluorosis in Didwana block of Nagaur district, Central Rajasthan, India'The International Journal of Occupational and Environmental Medicine. 4(4):178-184, 2013
40. Bagramian Robert A., Franklin Gacia-Godoy, Anthon R.Volpe 'The global increase of
41. Bao L, Li Y, Zhang Y. Dental caries and fluorosis among 12-year-old children with different fluoride exposure in Heilongjiang province. Shanghai Journal of Stomatology. 16(6):574-577, 2007.
42. Barron RP, Carmichael RP, Marcon MA, Sandor GK. Dental erosion in gastroesophageal reflux disease. J Can Dent Assoc. 2003; 69:84–9.
43. Bartlett, D.W.; Shah, P . "A Critical Review of Non-carious Cervical (Wear) Lesions and the Role of Abfraction, Erosion, and Abrasion". Journal of Dental Research 2006.[online] 85 (4): 306–312.
44. Baskaradoss JK, Clement RB, Narayanan A. Prevalence of dental fluorosis and associated risk factors in 11-15 year old school children of Kanyakumari District, Tamilnadu, India: a cross sectional survey. Indian Journal Dental Research. 19(4):297-303, 2008
45. Beentjes VE1, Weerheijm KL, Groen HJ.Factors involved in the aetiology of molar-incisor hypomineralisation (MIH). Eur J Paediatr Dent.2002 Mar; 3(1):9-13
46. Bernard G, Sarnat, Isaac Schour." Enamel Hypoplasia (Chronologic Enamel Aplasia) in Relation to Systemic Disease: A Chronologic, Morphologic and Etiologic Classification". The Journal of the American Dental Association.1941; Volume 28, Issue 12, Pages 1925-2080
47. Bernard G.Sarnat." ENAMEL HYPOPLASIA (CHRONOLOGIC ENAMEL APLASIA) IN RELATION TO SYSTEMIC DISEASE: A CHRONOLOGIC, MORPHOLOGIC AND ETIOLOGIC CLASSIFICATION". Jour. A .D .A ., V o l. 29, January 1942

48. Burt BA: The increase in dental fluorosis in the United States: should we be concerned? Pediatr Dent 15:146-53, 1993. Care – Pediatric, Research, Epidemiology and Clinical Practices 2012[online] pp:8-10

49. Casanova-Rosado AJ, Medina-Solıs CE, Casanova-Rosado JF, et al. Association between developmental enamel defects in the primary and permanent dentitions. Eur J Paediatr Dent 2011;12:155–158.

50. Charu M. M, Ashokkumar B.R. Exposure to High fluoride drinking water and risk of dental caries and dental fluorosis in Haryana, India. Asia-Pacific Journal of Public Health. 26(3), 2012.

51. Christiana Murakami,Luciana Butini Oliveira,Aubrey Sheiham,Maria Salete Nahás Pire s Corrêa ,Ana Estela Haddad ,Marcelo Bönecker ,"Risk Indicators for Erosive Tooth Wear in Brazilian Preschool Children " Caries Research 2011;45:121–129

52. Cohen S., Becker G.L. Origin, diagnosis and treatment of the dental manifestations of Vitamin D. Review of the literature and report of case.J.Amer.Dent.Ass.1976. Vol 92,N1. ;92(1):120-9

53. De Vos E, Vanobbergen J 'Caries prevalence in Belgian children;a review'Arch Public

54. Dean HT. Endemic fluorosis and its relation to dental caries. Public Health Rep. 53:1443-1452, 1938. Dental caries. A pending public helath crisis' Am J Dent 2009; [online] 22:3-8.

55. Dugmore, C.R; Rock W.P. A multifactorial analysis of factors associated with dental erosion. British Dental Journal 2004[online].volume 196 (5): 283–6

56. Eisenburger M, Addy M. Influence of liquid temperature and flow rate on enamel erosion and surface softening. J Oral Rehabil. 2003;30(11):1076–1080

57. Fatima del Carmen Aguilar-Díaz, Federico Morales-Corona, Aline Cristina Cintra-Viveiro, Javier de la Fuente-Hernández. Prevalence of dental fluorosis in Mexico 2005-2015: a literature review. SJR 2017.465

